სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 2014 წლის 28 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. გეგეჭკორი არნოლდი 4. ელიაშვილი მერაბი 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. კერესელიძე დავითი 7. კვერენჩხილაძე გიორგი 8. ბენდელიანი ბექა 9. პაპაშვილი თამარი 10. მარგველიშვილი ვლადიმერი 11. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 12. ჩოხელი ლევანი 13. ბარამიძე ცირა 14. ბახტაძე მიხეილი 15. ბრაჭული ირაკლი 16. გელოვანი ნანი 17. ლორია კახაბერი 18. პაიჭაძე თამარი 19. ახლოური ბექა 20. ჯღამაძე უჩა 21. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1) ***უფლებამოსილების ცნობის შემდეგ:*** 22. ჩიტაძე სოფიო; 23. ზარანდია ერეკლე; 24. სამხარაძე ლაშა; 25. ქურდიანი რევაზი; 26. ბახტურიძე პაატა; 27. ოკრიბელაშვილი ნინო; 28. გიორგაძე გიორგი (დანართი 2)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. შენგელაია ალექსანდრე 6. ნადარაია ელიზბარი 7. სურგულაძე ნუგზარი 8. გველესიანი რევაზი 9. მარშავა ქეთევანი 10. თოდუა ფრიდონი 11. გალდავა გიორგი (დანართი 3)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ახალ წევრთათვის უფლებამოსილების ცნობა
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროშის ესკიზისთვის კრიტერიუმების დადგენა
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარის წესით გაცემის საკითხი
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოწერილი აქტივებისა და გამოუსადეგარი ნივთების რეალიზაციის საკითხი
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილების საკითხი
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დამტკიცება
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა
8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დებულების დამტკიცება
9. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი

10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი

11. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 თებერვლის №18/2014 დადგენილების დამტკიცება

12. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 20 თებერვლის №19/2014 დადგენილების დამტკიცება

13. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №29/2014 დადგენილების დამტკიცება

14. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №30/2014 დადგენილების დამტკიცება

15. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილების დამტკიცება

16. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №32/2014 დადგენილების დამტკიცება

17. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №33/2014 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანმა, დიმიტრი გეგენავამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 14 თებერვლის არჩევნების თობაზე. მისი განმარტებით, არჩევნებმა ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა და რვავე ვაკანტურ

ადგილზე გამოვლინდა გამარჯვებული. აუცილებელია არჩეული წევრების უფლებამოსილება ცნოს წარმომადგენლობითმა საბჭომ, რათა ისინი შეუდგნენ მუშაობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების, სოფიო ჩიტაძის, ერეკლე ზარანდიას, ლაშა სამხარაძის, რევაზ ქურდიანის, პაატა ბახტურიძის, პაატა იმნაძის, ნინო ოკრიბელაშვილისა და გიორგი გიორგაძის უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმოადგინა უნივერსიტეტის დროშის ესკიზისათვის კრიტერიუმების შემუშავების საკითხი. მისი განცხადებით, უნივერსიტეტსა და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აქამდე უნივერსიტეტს არ ჰქონია ოფიციალური დროშა. ჰერალდიკის საბჭომ მზადაა, დაგვეხმაროს და ჩვენ მიერ შერჩეული კრიტერიუმების საფუძველზე შეიმუშავოს დროშის რამდენიმე ესკიზი. ვინაიდან დროშისა და გერბის დამტკიცების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას წარმომადგენლობითი საბჭო იღებს, უმჯობესი იქნება, თუ იგი თავად დაადგენს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას დროშა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ განაცხადა, რომ დროშის შექმნის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც პრაქტიკაში ისედაც გამოიყენება დროშა, რომლის ცენტრშიც უნივერსიტეტის გერბია გამოსახული, რაც იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს რეკომენდაცია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროშის ესკიზისათვის შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობის თაობაზე: „1918 წელს დაფუძნებული პირველი ქართული უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცივილიზებულობის, დემოკრატიულობისა და თვითმყოფადობის სიმბოლოა, რომლის მიზანია სტუდენტთათვის თანამედროვე სტანდარტის შესატყვისი განათლების მიცემა, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მართლშეგნების მაღალი დონის მქონე მოქალაქეთა აღზრდა, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია“.

3. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო უნივერსიტეტის ქონების იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში მოქმედმა სასადილომ შეწყვიტა ფუნქციონირება, მოიჯარეს უჭირდა საიჯარო ქირის გადახდა, ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულება. დღესდღეობით მაღლივ კორპუსში სასადილო არ ფუნქციონირებს, ამიტომაც უნივერსიტეტის მიზანია, მოიზიდოს დაინტერესებული პირები და გასცეს ფართი იჯარის წესით სასადილოს მოწყობის მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა რევაზ ქურდიანმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

აღინიშნა, რომ აუცილებელია მაღლივ კორპუსში სასადილოს კვლავ ფუნქციონირება, ასევე, დაზუსტდა, რომ ხსენებული ფართი გაიცემა იმავე პირობებით, როგორც წინა ჯერზე იყო გაცემული, გარდა იჯარის ვადისა, რომელიც, სასურველია, იყოს 5 წელი. აქვე აღინიშნა, რომ ამჯერად ფართი გაიცემა მასზე არსებული სასადილოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მოძრავი ქონებით (იმ სახისა და ოდენობის მოძრავი ქონებით, რომლითაც სარგებლობდა წინა მოიჯარე და რომლის ქირის საწყისი ოდენობა შევა /დაემატება/ სასადილოს იჯარის საწყის ოდენობას). ქონების სარგებლობის ყოველთვიური ქირა დადგინდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარე სასადილოს ფართის (274 კვ.მეტრი) და შესაბამისი მოძრავი ქონების 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით, დროებით სარგებლობაში გაცემაზე უნივერსიტეტის სტუმრების, პერსონალისა და სტუდენტთა, მაქსიმალურად შეღავათიან ფასებში კვებით მომსახურეობის, მზა საკვების რეალიზაციისა და გაზიანი, უალკოჰოლო სასმელების (ყავა, ჩაი, ნატურალური წვენი და ა.შ.) რეალიზაციის მიზნით, სხვა სუბიექტებისათვის (მათ შორის იურიდიული პირებისათვის) მოცემული მომსახურეობის გაწევის შეზღუდვით.

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა უნივერსიტეტის ჩამოწერილი აქტივებისა და გამოუსადეგარი ნივთების რეალიზაციის საკითხი და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა ინვენტარი, ხელსაწყო და მწყობრიდან გამოსული ტექნიკა ჩამოწერილი იქნა კანონით დადგენილი წესით. ამ ეტაპზე აუცილებელია მისი განკარგვა, ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქონების ის ნაწილი, რომელი ცუნივერსიტეტის საკუთრებას წარმოადგენს, რეალიზებული იქნება. აღნიშნული

ფორმა ამ ქონების განკარგვის ოპტიმალური საშუალებაა, ხოლო იმ ქონების განკარგვა, რაც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, მოხდება ჩვენი წარდგინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ.

საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქვეს აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ალექსანდრე შენგელაიამ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 28 ივნისის N70/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 270258 კგ) რეალიზაციის (გარდა ავტომანქანისა რაფი гач-40-82), უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 05 ივლისის N73/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) ძირითადი აქტივების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 1515 კგ) რეალიზაციის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 13 ივნისის N54/64-452 კორესპონდენციაში დაფიქსირებული ინვენტარის რეალიზაციის, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2013 წლის 14 ივნისის N16958/02 სამსახურებრივ ბარათში დაფიქსირებული 4 ავტომანქანის რეალიზაციის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 02 სექტემბრის N153/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი (მე-10 კორპუსი) ძირითადი აქტივების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 24516,60 კგ) რეალიზაციის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 05 ივლისის N157/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი (მე-11 კორპუსი) ძირითადი აქტივების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 3924 კგ) რეალიზაციის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 12 აპრილის N59/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი (მორფოლოგიის ინსტიტუტი) ძირითადი აქტივების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 3278 კგ) რეალიზაციის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 04 მაისის N70/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი (გეოგრაფიის ინსტიტუტი) ძირითადი აქტივების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 580,5 კგ) რეალიზაციისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 08 აგვისტოს N113/02-01 ბრძანებით ჩამოწერილი (გეოლოგიის ინსტიტუტი) ძირითადი აქტივების შედეგად მიღებული ჯართის (სავარაუდო წონა 3685,5 კგ) რეალიზაციის თაობაზე; 2. გაიცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესი და პირობების“ მე-2 მუხლის შესაბამისად, ავტომანქანის რაფი гач-40-82 შემდგომი განკარგვის მიზნით სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემაზე.

5. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოადგინა უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, თსუ–ის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილება, შემოსავლების ნაწილში განპირობებულია 2013 წლის გარდამავალი ნაშთის დაზუსტებით და ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ახლად გამარჯვებული პროექტების დაფინანსებით (დაფინანსებულია 54-მდე სამეცნიერო პროექტი, 2024815 ლარით). მონაცემთა დაზუსტების შედეგად იზრდება გარდამავალი ნაშთის მოცულობა და შეადგენს 19 177 315 ლარს. მათ შორის, ნაშთი: ეკონომიკური შემოსავლებიდან - 12901810 ლარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 24 ივნისის №79/ნ ბრძანებით დამტკიცებული, 2013-2014 სასწავლო წელს სამინისტროს მიერ, უნივერსიტეტზე წლის ბოლოს გამოყოფილი პროგრამული დაფინანსებიდან - 1355625 ლარი; მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის №1111 ბრძანებით დამტკიცებული „ზამთრის სკოლების“ დაფინანსების ქვეპროგრამით გამოყოფილი - 144958 ლარი; მინისტრის 2013 წლის 5 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განვითარების ქვეპროგრამით გამოყოფილი - 177318 ლარი; საერთაშორისო გრანტებიდან - 1434734 ლარი; ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან - 3162870 ლარი.

რაც შეეხება ხარჯებს, 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილება შეეხო ყველა ძირითად მუხლს. კერძოდ, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის (გაერთიანდა დანამატი და თანამდებობრივი სარგო, შეიცვალა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგი), ასევე, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში გასათვალისწინებელი ცვლილებებიდან გამომდინარე (კოეფიციენტების მისადაგება) და ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახლად მოპოვებული საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ხარჯების გათვალისწინებით იზრდება: „შრომის ანაზღაურების“ მუხლი 2000000 ლარის ფარგლებში, ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლი 1700000 ლარის ფარგლებში; ,,მივლინება'' - 281000 ლარის, „ოფისის ხარჯები“ 400000 ლარის; „წარმომადგენლობითი ხარჯები“ 150000 ლარის, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები“ 419000 ლარის, „არაფინანსური აქტივები“ 700 000 ლარის ფარგლებში. მათ შორის, კომპიუტერების შესყიდვა 200000 ლარით. ამდენად, 2014 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 78 983 866 ლარით, ხოლო მთლიანი ასიგნებანი - 75 526 590 ლარით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ინეზა გაგნიძემ და ცირა ბარამიძეს, ასევე, უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილებები (დანართი 4).

6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში და აღნიშნა, რომ მასში შესულია უნივერსიტეტის დეპარტამენტების, სამსახურებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. საქმიანობის ანგარიში ელექტრონული ფორმით წინასწარ გადაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ქალბატონმა ცირა ბარამიძემ, ბატონებმა - ბეჟან თუთბერიძემ და რევაზ ქურდიანმა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი ანგარიში და დადებითად შეაფასეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშაობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (დანართი 5).

7. რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატის უფროსმა, ქალბატონმა მზექალა აჭაიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო აკადემიური საბჭოს 2013 წლის ანგარიში, რომელშიც დეტალურადაა მოცემული აკადემიური საბჭოს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: მიღებულ იქნას ცნობად სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი 6)

8. ქალბატონმა რუსუდან დოლიძემ წარმომადგნელობით საბჭოს გააცნო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დებულების პროექტი. მისი განმარტებით, დებულება ტექნიკურად გაიმართა, ასევე, მასში აისახა ენების შემსწავლელი ცენტრის ორგანიზაციული საკითხები და ის სფეციფიკა, რომელიც მისი გამართული და ეფექტური მუშაობისთვისაა აუცილებელი.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ და წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრი დებულება (დანართი 7)

9. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ინეზა გაგნიძემ წარმოადგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი. მისი განცხადებით, ცვლილებები გამოწვეულია რექტორის ინიციატივით, რომლითაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფაკულტეტებზე მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელებას. დებულების ცვლილების პროექტი მიღებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში და 28-ე მუხლს დაემატოს „ლ“ ქვეპუნქტი, შემდეგი შინაარსით: „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისათვის, შესაბამის კათედრასთან ერთად, აუცილებელი უცხოური სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ასევე მოძიებული ლიტერატურის თარგმნისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსების შერჩევა, თარგმნის პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია“.

10. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი კვერენჩხილაძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილების მსგავსად, წარმოდგენილი ცვლილებაც ფაკულტეტებზე მთარგმნელობითი საქმიანობის უზრუნველყოფას ემსახურება. დებულების ცვლილების პროექტი მიღებულია იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში და 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებასა და წახალისებას სამართლის სფეროში, ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას მეცნიერებით, ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო, კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარებას, ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებას, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ იურისტთა მოწვევას, სამეცნიერო ინტელექტის მოზიდვასა და სამეცნიერო-მთარგმნელობითი საქმიანობის კოორდინაციას იურიდიულ ფაკულტეტზე“.

11. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 თებერვლის №18/2014 დადგენილება. მისი განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია იმით, რომ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი გაერთიანდა, ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის 5 კატეგორიის ნაცვლად, მხოლოდ სამი კატეგორია იარსებებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი კვერენჩხილაძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 თებერვლის №18/2014 დადგენილება. (დანართი 8)

12. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 20 თებერვლის №19/2014 დადგენილება. აღნიშნული ცვლილებით დგინდება სპეციალური მოწესრიგება იმ აკადემიური პერსონალის მიმართ, რომლებიც იმავდროულად იკავებენ ადმინისტრაციულ თანამდებობებს უნივერსიტეტში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:
მომხრე: 28
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 20 თებერვლის №19/2014 დადგენილება (დანართი 9)

13. მანანა კაკაბაძემ წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №29/2014 დადგენილება. მისი განცხადებით, ინსტიტუტი თსუ-ს შემოუერთდა 2010 წელს. ამ პერიოდიდან უნივერსიტეტსა და ინსტიტუტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო. ამ დებულების მიზანია, ხელი შეუწყოს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის უნივერსიტეტში უფრო მეტად ინტეგრაციას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №29/2014 დადგენილება (დანართი 10)

14. რევაზ გაჩეჩილაძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №30/2014 დადგენილება. დადგენილების საფუძველზე შექმნილი ცენტრი იმუშავებს საქართველოს სამეზობლოს, მეზობელი სახელმწიფოების კვლევაზე, აღნიშნული ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც მათთან თანაარსებობს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ნუგზარ სურგულაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №30/2014 დადგენილება (დანართი 11)

15. ზაზა ფირალიშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილება. მისი განცხადებით, ცენტრი იმუშავებს არა მხოლოდ ვიწრო რელიგიურ კონტექსტში, ცენტრის საქმიანობა იქნება ინტერდისციპლინური.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილება (დანართი 12)

16. ნანი მაჭარაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №32/2014 დადგენილება და აღნიშნა, რომ ცვლილებები განპირობებულია ინსტიტუტის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხებით. დებულებით, ასევე, ზუსტდება რამდენიმე ტექნიკური ასპექტი.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №32/2014 დადგენილება (დანართი 13)

17. ნანი მაჭარაშვილმა წარმოადგინა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №33/2014 დადგენილება. მისი განმარტებით, აღნიშნული ცენტრი, გენდერის კვლევის ინსტიტუტთან ერთად, სოციალური მეცნიერებების ცენტრის ბაზაზეა შექმნილი. 2015 წლამდე გაწერილია საქმიანობის გეგმა და დებულების საფუძველზე მოხდება თანხების აკუმულირება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №33/2014 დადგენილება (დანართი 14)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 28 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველიშვილი ვლადიმერი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 28 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სოფიო ჩიტაძე

ერეკლე ზარანდია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლაშა სამხარაძე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

რევაზ ქურდიანი

პაატა ბახტურიძე

მედიცინის ფაკულტეტი

პაატა იმნაძე

ნინო ოკრიბელაშვილი

გიორგი გიორგაძე

დანართი 3

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2014 წლის 28 მარტი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2014 წლის ერთიანი ბიუჯეტი

დასახელება	ლარი
შემოსავლები	**78,983,866.7**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების, საერთაშორისო გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების ჩათვლით)	**19,177,315.0**
სწავლის საფასური	**42,153,560.7**
პროგრმული დაფინანსება(განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 24 ივნისის #79/ნ ბრძანება.)	**1,355,625.0**
სახელმწიფო ბიუჯეტი–უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	**4,394,200.0**
სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	**1,048,500.0**
სამეცნიერო - კვლევითი გრანტები	**10,254,666.0**
მ.შ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**7,600,057.0**
მ.შ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები–დოქტორანტების დაფინანსება	**300,732.0**
მ.შ. საერთაშორისო გრანტები	**2,353,877.0**
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	**600,000.0**
მთლიანი ასიგნება	
სულ ასიგნება	**75526590**
ხარჯები	**72793414**
შრომის ანაზღაურება	**29535134**
საქონელი და მომსახურება	**39355780**
გრანტები	**80000**
სხვა ხარჯები	**3822500**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2733176**
ვალდებულებების კლება	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**3457277**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**55,532,353.0**

ხარჯები	**54,091,353.0**
შრომის ანაზღაურება	**26,090,430.0**
საქონელი და მომსახურება	**25,426,923.0**
გრანტები	
სხვა ხარჯები	2,574,000.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,441,000.0**
ვალდებულებების კლება	
მათ შორის:შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**4,394,200.0**
ხარჯები	**4,360,100.0**
შრომის ანაზღაურება	**3,444,704.0**
საქონელი და მომსახურება	**915,396.0**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**34,100.0**
ვალდებულებების კლება	
,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''	
სულ ასიგნება	**1,048,500.0**
ხარჯები	**1,048,500.0**
შრომის ანაზღაურება	
სხვა ხარჯები	1,048,500.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	
ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტები	
სულ ასიგნება	**14,551,536.7**
ხარჯები	**13,293,460.9**
საქონელი და მომსახურება	**13,013,460.9**
გრანტები	80,000.0
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	200,000.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,258,075.8**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2, დანართი 5.

2013 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა ---------- 3-12 გვ.

რესურსების მართვა ---------- 12-19 გვ.

საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები
და ურთიერთობა საზოგადოებასთან ---------- 19 – 25 გვ.

საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა,
კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი,
უსაფრთხოების დაცვა ---------- 25-30გვ.

საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში, სხვა
აქტუალური საქმიანობა ---------- 30-34 გვ.

I. სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

სამეცნიერო საქმიანობის (კვლევების) ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის, კერძოდ კი მისი ***სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტ***ის ინიციატივით, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით 2013 წლის განმავლობაში პერმანენტულად წარმოებდა სამუშაო შეხვედრები მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე; პერიოდულად მიმდინარეობდა საერთაშორისო ფონდების (GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და, საჭიროებისამებრ, კონსულტაციების გაწევა; ინსტიტუტებთან წარმოებდა პერმანენტული შეხვედრები ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის გარშემო; პერმანენტულად მიმდინარეობდა საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით; პერიოდულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი; მუდმივად მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება და დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება; ადმინისტრაცია უშუალოდაა ჩართული სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ ,,თსუ მეცნიერების" სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობაში; მომზადდა და წარდგენილ იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებულ საგრანტო კონკურსებში თსუ-დან წარდგენილი პროექტების სტატისტიკური ანალიზი; მომზადდა თსუ-ს 2013 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში და წარედგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას; უნივერსიტეტი ჩართული იყო საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში (შედეგად შემუშავდა 2014-2020 წწ საქართველოს ინოვაციური სტრატეგიის პროექტის პირველადი ვერსია); გადაიდგა პირველი ნაბიჯები თსუ-ის ტექნოლოგიური ტრანსფერის რეგიონთაშორისო ასოციაციაში გაერთიანების მიზნით; დაიწყო მუშაობა კემბრიჯის უნივერსიტეტის პემბროუკ კოლეჯისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზნით (თანამშრომლობა გულისხმობს როგორც სამეცნიერო წრეებთან კავშირების დამყარებას, ისე დაფინანსების გამოყოფას ქართველი მკვლევარებისთვის და ქართველი მეცნიერების მიწვევას კემბრიჯში ქართველოლოგიის სფეროში სწავლების დაწყებისთვის; ასევე კემბრიჯის სტუდენტები თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიღრმავებენ სპარსული ენის ცოდნას); დაარსდა ჟურნალი „თსუ სტუდენტური მეცნიერება"; თსუ-მ უზრუნველყო 5%-ანი თანადაფინანსება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის;

მიმდინარეობს მოლაპარაკებები კომპანია "ELSEVIER"-თან მათ მიერ შემოთავაზებული რესურსების შეძენის მიზნით; მიმდინარეობს თსუ-ის ბაზაზე არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის ვებ-გვერდის ერთი დომენის ქვეშ მოქცევა, ინტერნეტსივრცეში უნივერსიტეტის პოტენციალის ობიექტურად ასახვისა და მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რანჟირების სათანადო რეიტინგის მოპოვების მიზნით;

2013 წელს ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა 14 კონფერენცია/სიმპოზიუმი/კონგრესი, მათ შორის ჩატარებული 10 კონფერენცია თსუ-ის მიერ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგადაა მოპოვებული (სულ ამ კონკურსის ფარგლებში თსუ-მ მოიპოვა 11 საკონფერენციო გრანტი), რომელთაგან განსაკუთრებითაა აღსანიშნავი:

- სტუდენტური კონფერენცია (11 მაისი 2013 წელი);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში" (14 ოქტომბერს 2013 წელი);
- II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" (11-12 ოქტომბერი, 2013 წელი);
- პირველი საერთაშორისო საშემოდგომო სკოლა და კონფერენცია თეორიულ ფიზიკაში (ღონისძიება ჩატარდა თეორიული ფიზიკის რეგიონულ საგანმანათლებლო ქსელში (Regional Training Network in Theoretical Physics) გაერთიანებული უნივერსიტეტების (თსუ, ბონის უნივერსიტეტი და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ეგიდით - ერთობლივად (23 სექტემბერი 2013 წელი)).

2013 წელს უშუალოდ ზემოხსენებული დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ მოპოვებული იქნა 9 საგრანტო პროექტი.

სასწავლო პროცესის წარმართვა უნივერსიტეტში ხორციელდება **სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის** მიერ. 2013 წელს უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა დეპარტამენტში ახალი - სტუდენტთა რეესტრის წარმოების - განყოფილების შექმნა, ხოლო აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების მიერთება უწყვეტი განათლებისა და აკადემიური განვითარების ცენტრისათვის.

წლის დასაწყისში განისაზღვრა 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ამოცანები და სემესტრების შესაბამისად მოხდა მათი განხორციელება.

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით 2013 წელს არაერთი სამუშაო შეხვედრა მოეწყო ფაკულტეტების დეკანებთან. მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა სამართლებრივი აქტები.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებით 2013 წელს უნივერსიტეტის მიერ განხილული იქნა 11 ათასზე მეტი კორესპონდენცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იგზავნებოდა პასუხები მოთხოვნილ ინფორმაციაზე და უნივერსიტეტში გამოცემული სამართლებრივი აქტები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს - დასკვნისათვის ეგზავნებოდა მობილობის წესით სტუდენთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებების პროექტები და სტუდენტთა დოკუმენტაცია გრანტის საკითხთან დაკავშირებით.

„რესპუბლიკა“, „ლიბერთი“ და „თი-ბი-სი“ ბანკებს - პერიოდულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია თსუ-ში ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების შესახებ.

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს მასშტაბით და მათ შორის თსუ-ში, საკმაოდ წარმატებით, პირველად ჩატარდა პროფესიული ტესტირება. განხორციელდა პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველი აპლიკანტების რეგისტრაცია და მომზადდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები: ტესტირების ვადებისა და პროცედურის განსაზღვრის შესახებ, ტესტირებისა და საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველთათვის გამოცდის ჩატარების პროცედურის განსაზღვრის შესახებ, პირველად საფეხურზე ჩასარიცხი აპლიკანტებისთვის პროცედურული ვადების განსაზღვრის შესახებ, პირველადი საფეხურის სტუდენტებისათვის 2013-2014 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ.

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შეიცვალა შიდა მობილობის წესი. პროცედურა გახდა ელექტრონული, რამაც გაამარტივა და აღმოფხვრა შიდა მობილობასთან დაკავშირებით მანამდე არსებული პრობლემები. შემუშავდა შიდა მობილობის მარეგულირებელი შემდეგი სამართლებრივი აქტების პროექტები: საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესი და შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი.

მოძიებული და დამუშავებული იქნა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია: შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის, პირველ სემესტრელ ბაკალავრებისათვის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის.

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 2511 სტუდენტმა მიმართა თსუ-ს რექტორს სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის თხოვნით. მათი განცხადებები განხილული იქნა ინდივიდუალურად და მომზადდა შესაბამისი წერილები.

2013-2014 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფილი იქნა „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავება.

მიმდინარეობდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვების (ფორმა №5) და სასწავლო-სამუშაო გეგმების (ფორმა №2) შედარება. ხდებოდა ხარვეზების გამოვლენა და რეაგირება.

2013 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ღონისძიებები.

მომზადდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან, უცხოელ სტუდენტებთან და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებთან/მაგისტრანტობის კანდიდატებთან/სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტები - 7 სახეობის 1745 პროექტი.

უნივერსიტეტი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობისა და გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ნაციონალურ ცენტრებთან, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო განყოფილებებთან და სხვა. მომზადდა 200-მდე კორესპონდენცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელის ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ წერილებზე, რომლებიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობას.

სტუდენტთა მომსახურეობის განხრით განხილული იქნა 4200 კორესპონდენცია. კორესპონდენციის ნაწილზე გამოცემულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტები: დიპლომისა და დიპლომის დანართის დუბლიკატის გაცემის შესახებ, დიპლომისა და დიპლომის დანართის შესწორების თაობაზე, კურსდამთავრებულთა პირად საქმეში ცვლილების შეტანის თაობაზე. ამ მიმართულებით მომზადდა სატენდერო წინადადებები დიპლომების ფორმებისა და დიპლომების ყდების დამზადებასთან დაკავშირებით; მოხდა თსუ-ს 2008 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომები თანდართული დანართებით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალების დააარქივება; განახორციელა უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების ასლებისა და მომზადებული სხვადასხვა ტიპის 450 ცნობის დამოწმება და გაცემა.

უზრუნველოფილი იქნა:

- 2013–2014 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების, უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების, მობილობით გადმოსული სტუდენტების ხელშეკრულებების დამოწმების პროცედურა რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.
- წვევამდელთა აღრიცხვა და 2700 ფორმა №26-ის (სტუდენტ ვაჟებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობა) მომზადება და გაცემა; 2100 პირველკურსელის ცნობა გადაგზავნა შესაბამისი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

- ყოფილი თეუსუ-ს კურსდამთავრებულების პირადი საქმეების გარკვეული რაოდენობის მოწესრიგება, მასალების დაარქივება და გადაცემა თსუ-ს არქივისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გაეგზავნა კურსდამთავრებულთა დიპლომის ნამდვილობის შესახებ და სტუდენტების სწავლის ფაქტის დადასტურების შესახებ 160 ცნობა;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართებისა და ცნობების ნამდვილობის დადასტურების მიზნით გაიგზავნა 230 წერილი;

სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებში გაიგზავნა 15 წერილი, სხვადასხვა ქვეყნების ორგანიზაციებში - 30 წერილი.

დამზადდა - 3514 დიპლომი, 174 დიპლომის დუბლიკატი, 6 მოწმობა, 70 დიპლომის ახალი დანართი, 4 მეორადი სწავლების სერტიფიკატი, 290 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი, 150 სხვადასხვა სახის ცნობა, 2006-2007 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დიპლომების 5200 ასლი, თსუ-ს კურსდამთავრებულებისათვის - 520 ცნობა, 170 სტუდბილეთი დოქტორანტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტებისათვის.

შეცვალა - 211 დიპლომი, 80 დიპლომის დანართი.

არქივს გადაეცა - 745 შეცვლილი დიპლომისა და დიპლომის დუბლიკატის ასლები თანდართული დოკუმენტებით.

საუტილიზაციოდ მომზადდა (ჩაუტარდა აღწერა, ტექნიკური დახასიათება) და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარუდგინა 2005-2006-2007-2008 წლების (სრულად) და 2009 წლის (ნაწილობრივ) გამოუყენებელი დიპლომის ფორმები (13815 ცალი).

საგანმანათლებლო რეესტრის წარმოების მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

განხორციელდა 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრსა და 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლება. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაშიც. ასევე, პერიოდულად კონტროლდებოდა სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ელექტრონულ აღრიცხვას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაფიქსირდა 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში ჩარიცხული 7125 სტუდენტის (5263 ბაკალავრი, 1265 მაგისტრანტი, 265 დოქტორანტი) სტატუსი და შეტანილი იქნაა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებები. იგივე პროცედურა განხორციელდა 7125 სტუდენტზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

2013 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეტანილი იქნა სტუდენტის შესახებ გამოცემული 21441 სამართლებრივი აქტი; დაამუშავდა 271 კორესპონდენცია.

სტუდენტთა რეესტრის წარმოების მხრივ განხორციელდა:

- სემესტრის დასაწყისში სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის განხორციელება.
- შიდა მობილობის/მობილობისას ფაკულტეტების და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
- 2280 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასკანერებული ვერსიის თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ასახვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემთა ბაზის შევსებისა და კორექტირების მიზნით განხორციელდა 200 სტუდენტის დოკუმენტაციის მოძიება და გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე გაიგზავნა შესაბამისი ელექტრონული წერილები.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში აისახა თსუ-ში ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული 224 სტუდენტი და 265 დოქტორანტი.

პროფესიული კოლეჯების მართვის სისტემაში შევიდა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ.

დამუშავდა სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები და მიეწოდა შესაბამის სუბიექტებს.

დაზუსტდა 2012 წლის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული სტუდენტების სიები და გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

უნივერსიტეტი ადმინისტრაციაში, აკადემიური პროგრამების განხორციელების სრულყოფის და სტუდენტთა საატესტაციო პროცედურების ორგანიზება-ჩატარების მიზნით, (სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ***საგამოცდო ცენტრის*** ფუნქციონირებას. 2013 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნა 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი გამოცდების, 2012–2013 საასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის I კოლოქვიუმის, 2012–2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის II კოლოქვიუმის, 2012–2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ძირითადი გამოცდების, 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I კოლოქვიუმის, 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის II კოლოქვიუმის, 2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი გამოცდების, 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დოქტორანტურის, 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დოქტორანტურის, 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მაგისტრატურის გამოცდების ჩატარება. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური ანგარიში).

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 2013 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა განახორციელა უწყვეტი განათლების პროგრამებისა და აკადემიური განვითარების სფეროში, რა მიზნითაც ნაყოფიერად იმოქმედა უნივერსიტეტის ***აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა***. უნივერსიტეტმა განახორციელა შემდეგი პროექტები: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან

ტენდერის (SPA130010336) საფუძველზე, სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ კურსი „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება“. ორგანიზება გაუკეთდა ტრენინგებს, რომლებიც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან 2011 წლის 26 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რუსთავისა და კასპის კოლონიებში, მსჯავრდებულთათვის განაახლა ტრენინგების ჩატარება. მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა დამწყებთათვის, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და შესავალი მარკეტინგში. ტენდერში (სატრენინგო მომსახურებების (CPV-80500000) სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით) გამარჯვების შემდეგ უნივერსიტეტმა იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრთან გააფორმა ხელშეკრულება (№2013/23), რომლის საფუძველზეც ყოფილი მსჯავრდებულებისა და პრობაციონერებისათვის მოამზადა სპეციალური სასერტიფიკატო კურსები: ორის ბუღალტერია, საოფისე პროგრამები, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და მცირე ბიზნესის მწარმოებელი. გადამზადდა 60 პირი.

უნივერსიტეტმა წამოიწყო ახალი პროექტი „სტუდენტები სტუდენტებისათვის“, რომლის მიზანია სტუდენტების, როგორც მომავალი მწვრთნელების პოტენციალის გამოვლენა და მათთვის საკუთარი ინიციატივით მომზადებული ტრენინგების ჩატარების საშუალების მიცემა. კონკურსის საფუძველზე შერჩეული 10 საუკეთესო ტრენინგის ავტორებს ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი ტრენერებისათვის, რის შემდეგაც მათ თავად შესთავაზეს სხვა სტუდენტებს საინტერესო ტრენინგები.

2013 წელს ორგანიზება გაეწია შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლების გადასამზადებლ ტრენინგს „სერვის პლუსი“. ტრენინგისა და სპეციალურად ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიქმნა სტუდენტთა მომსახურების სტანდარტების დოკუმენტი.

2013 წელს საქმიანობის ამ თემატიკის მიხედვით მოპოვებული იქნა TEMPUS-ის გრანტი (544251-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPHES) პროექტით „**Strengthening the Specific Role of Universities as LLL Institutions, SSRULLI“** (უნივერსიტეტების, როგორც სწავლა უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება). პროექტის საერთო ბიუჯეტია 586 500.17 ევრო. ხანგრძლივობა 2 წელი. პროექტი მიზნად ისახავს უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობას, ახალი სტრატეგიის შემქნას, რეგიონალური ქსელის შექმნას და მინიმუმ ერთი ახალი სასერტიფიკატო კურსის მომზადებას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

2013 წელი უნივერსიტეტი **საგამომცემლო საქმიანობის** თვალსაზრისით ნაყოფიერი იყო, ვინაიდან მიღებული იქნა, რედაქტირება გაუკეთდა, დიზაინი შემუშავდა და დაიბეჭდა 92 დასახელების წიგნი, ჟურნალი და პერიოდული გამოცემა. უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა წიგნის საერთაშორისო ფესტივალში. მთელი წლის მანძილზე მზადებოდა და იბეჭდებოდა პოსტერები, მოსაწვევი ბარათები და ბუკლეტები უნივერსიტეტის მიმდინარე საჭიროებისათვის. განხორციელდა მოლაპარაკებების წარმოება უცხოურ გამომცემლობებთან მთარგმნელობითი პროექტით გათვალისწინებული 18 წიგნის ბეჭდვის უფლების მოსაპოვებლად. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან

ახლავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გამომცემლობის მიერ 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

უნივერსიტეტის ***ბიბლიოთეკის*** რეორგანიზაციის შედეგად, 2010 წლიდან, აღდგა საუნივერსიტეტო წიგნადი ფონდის ერთიანი აღრიცხვის სისტემა. ამ მიმართულებით მთავარი ფუნქცია აკისრია ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ბიბლიოთეკაში შემოსული საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა, ტექნიკური დამუშავება და ბიბლიოგრაფიული აღწერა. 2013 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 13 992 საბიბლიოთეკო ერთეული, აქედან 2 264 ერთეული შეძენილია ტენდერი გზით.

უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით წიგნების შესაძენად გათვალისწინებული იყო სულ 127 050 ლარი, საიდანაც დაიხარჯა 125 512 ლარი (შეძენილ იქნა 870 დასახელების 2 264 ერთეული). შემომწირველებთან გაფორმდა 358 ჩუქების ინდივიდუალური ხელშეკრულება.

უნივერსიტეტს ბიბლიოთეკის ინიციატივით, უნივერსიტეტს ცნობილ ქართულ გამომცემლობებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი რეგულარულად იღებს მათ მიერ დასტამბული წიგნების თითო ეგზემპლარს. თავის მხრივ, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალი გამოცემების პოპულარიზაციას საუნივერსიტეტო სივრცეში. 2013 წელს მემორანდუმი გაფორმდა კიდევ ორ გამომცემლობასთან. სულ გამომცემლობებისგან 2013 წელს საჩუქრად მიღებულ იქნა 571 საბიბლიოთეკო ერთეული.

უნივერსიტეტში ერთგვარ ტრადიციადაა დამკვიდრებული ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და მათი მემკვიდრეების მიერ პირადი ბიბლიოთეკის უნივერსიტეტისათვის საჩუქრად გადაცემა. 2013 წელს უნივერსიტეტს გადმოეცა ანდრია აფაქიძის, შალვა ნუცუბიძისა და უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის პირადი კოლექციები.

2013 წელს ბიბლიოთეკაში ჩაეწერა 899 მკითხველი, აბონემენტიდან გაიცა 2116 წერილობითი და 2224 ელექტრონული ცნობა საბიბლიოთეკო დოკუმენტის დავალიანების შესახებ, მკითხველებმა აბონემენტის განყოფილებიდან გაიტანეს 4 683 წიგნი, ბიბლიოთეკას დაუბრუნდა 4 593 წიგნი, აქედან - 204 საბიბლიოთეკო ერთეული ძველი დავალიანებიდან.

2011 წლიდან დაილუქა ბიბლიოთეკის ყველა საცავი და დაიწყო ინვენტარიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები - საბიბლიოთეკო დოკუმენტების დათვლა და მათთვის საგანგებოდ დამზადებული შტრიხკოდის მინიჭება. 2013 წელს მიმდინარე ინვენტერიზაციის ფარგლებში შტრიხკოდი მიენიჭა 211 664 საბიბლიოთეკო დოკუმენტს. სულ შტრიხკოდი მინიჭებული აქვს 1 411 876 საბიბლიოთეკო ერთეულს.

2013 წელს ელ. კატალოგს დაემატა 16 728 ელექტრონული ბარათი და 28 654 საბიბლიოთეკო ერთეული. სულ ელექტრონულ კატალოგში შეტანილია 45 000-მდე ჩანაწერი, და 82 297 საბიბლიოთეკო ერთეული. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის აუცილებელი სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით ხორციელდება სახელმძღვანელოების გაციფრებისა და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ატვირთვის სამუშაოები. 2013 წელს დასკანერდა და ვებ-გვერდზე განთავსდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 50 000-მდე გვერდი.

სასწავლო პროგრამებში მითითებული ლიტერატურისა და საბიბლიოთეკო ფონდის შესაბამისობაში მოსაყვანად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში ბიბლიოთეკას გადმოეცა 40 სალექციო კურსის ელექტრონული ვარიანტი, რაც, აგრეთვე, განთავსდა ბიბლიოთეკის ინტერნეტ-გვერდზე.

უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სხვადასხვა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა. 2013 წელს უნივერსიტეტის რესურსებს დაემატა შემდეგი ელექტრონული ბაზები: BioOne, Royal Society Journal Collection, New England Journal of Medicine, Oxford Textbook of Medicine, Oxford Online Dictionary და OECD-Library.

უნივერსიტეტში რეგულარულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების დეზინფექციისა და კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოები. 2013 წელს გაიწმინდა და რესტავრაცია ჩაუტარდა 41 რარიტეტულ გამოცემას. რესტავრაცია ჩაუტარდა - 102 საბიბლიოთეკო ერთეულს; აიკინძა და ყდაში ჩაისვა 114 წიგნი. გაკეთდა 32 წიგნის ქსეროასლი. აგრეთვე აიკინძა და ყდაში ჩაისვა 15 დასახელების (წლიური კომპლექტები) ჟურნალ-გაზეთი;

2013 წლის განმავლობაში, ამ სფეროს ინიციატივით შემუშავდა 54 სამართლებრივი დოკუმენტის (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები) პროექტი.

გარდა საბიბლიოთეკო მომსახურებისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან არსებული „კლუბი 93–ე აუდიტორიის'', „შემეცნებითი კლუბის'', ,,კინოკლუბის'' ფარგლებში ხორციელდება მრავალი კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიება (ფილმების ჩვენება, საჯარო ლექციები, წიგნების პრეზენტაცია, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა), რომელთა უმთავრესი მიზანი ახალგაზრდებისა და წიგნის დაახლოების ხელშეწყობაა.

მნიშვნელოვან პროექტად მიგვაჩნია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ მომზადებული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი". ცნობილი მწერლებისა და მეცნიერების მიერ გადაწერილი ნაწარმოების გვერდები გაფორმდა ორნამენტებით, აიკინძა და ტყავის ყდაში ჩაისვა. წიგნი დასურათდა ცნობილი მხატვრების მიერ. შედეგად მივიღეთ „ვეფხისტყაოსნის" უნიკალური გამოცემა, რომელიც ვახტანგისეული ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის" 300 წლისთავს მიეძღვნა.

2013 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალურ სამკითხველო დარბაზში გაიხსნა უსინათლოთათვის განკუთვნილი კუთხე, რომელიც აღჭურვილია სპეციალური კომპიუტერებით, პრინტერებით, დისკებითა და ლიტერატურით.

2013 წელს მომზადდა და დაისტამბა პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის კოლექციის აღწერილობა. მომზადდა და უნივერსიტეტის გამომცემლობას დასაბეჭდად გადაეცა „პირველი სხივის" საძიებელი, რომელსაც თან დაერთვის საყოველთაოდ ცნობილი „პირველსხიველების" მოგონებები უნივერსიტეტის ლიტერატურული წრისა და ჟურნალი „პირველი სხივის" შესახებ. აღნიშნული კრებულის გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის მკვლევრებსა და ყველა დაინტერესებულ მკითხველს.

2013 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჩვეულ რიტმში გააგრძელა საქმიანობა **სამუზეუმო** საქმიანობის მხრივ. 2013 წელს შემოსული ყველა სამუზეუმო მასალა (ხელნაწერი, ნაბეჭდი ლიტერატურა, არქეოლოგიური მონაპოვარი, მინერალოგიური და პალეონტოლოგიური

მასალები, მემორიალური ნივთები და სხვ.) სათანადო აღრიცხვასა და კუთვნილ ადგილზე მათ განთავსებას დაექვემდებარა.

2013 წელს ჩატარებულია არქეოლოგიური ექსპედიციები სხვადასხვა მიმართულებით (სულ ექვსი). ამავე წელს ახალი ექსპონატები შეემატა ქართული ემიგრაციის მუზეუმს.

თსუ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო შემდეგი გამოფენები: აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა; ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა; ქართული ენის დღისადმი მოძღვნილი ღონისძიება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა; მამია ახობაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა; ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა; „გეოგრაფიული კვირეულის“ ფარგლებში გეოგრაფიის მუზეუმის მიერ მომზადებული გამოფენა, მიძღვნილი უნივერსიტეტში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიისადმი; დოქტორანტ ლევან ტიელიძის გლაციოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოფენა;

თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქართველი ემიგრანტის სიმონიკო ბერეჟიანის ანდერძის გაცნობა, მისი პოემის „პაემანი მთაწმინდაზე“ კითხვა მთაწმინდის პანთეონში;
- ემიგრანტ პეტრე ხვედელიძისადმი მიძღვნილი გამოფენა;
- გამოფენა „გურამ შარაძე და ქართული ემიგრაცია“;

ზოოლოგიური მუზეუმი ბიოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესს მთელი წლის მანძილზე საჭირო სადემონსტრაციო მასალებით უზრუნველყოფდა. ზოოლოგიურ გამოფენას თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და საქართველოს სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ. დამთვალიერებელთა შორის იყვნენ საპატიო სტუმრები გერმანიიდან, ისრაელიდან, არაბთა ემირატებიდან და რუსეთიდან.

მინერალოგიური მუზეუმი მთელი წლის მანძილზე გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტებსა და პროფესორებს ემსახურებოდა, რომლებსაც მოთხოვნისამებრ სადემონსტრაციოდ მინერალების ნიმუშებს აწვდიდა. მინერალოგიური კოლექციები საქართველოს სკოლის მოსწავლეთა დიდმა ჯგუფმა დაათვალიერა;

მუზეუმი ამ მხრივ მთელი წლის მანძილზე აქტიურად თანამშრომლობდა თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტთან.

II. რესურსების მართვა

2013 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ტრადიციულად ინტენსიურად საქმიანობდა ***ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების*** მიმართულებებით.

თსუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან

კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომელიც შესათანხმებლად, დროულად წარედგინა თსუ-ს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს და 2013 წლის 7 თებერვალს დამტკიცდა რეგენტთა საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №1 07,02,2013 წელი).

თსუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 62 023 520 ლარი და 2012 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით (ნაშთი - 14 244 794 ლარი) განისაზღვრა სულ 76 268 314 ლარით. მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტი - საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა - 4 185 248 ლარი; ,,სახელმწიფო სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს'' - 999 150 ლარი; ეკონომიკური შემოსავლები - 48 398 839 (სასწავლო გრანტი, სოციალური გრანტი - 19 088 904 ლარი, სწავლის ქირა - 25 836 589 ლარი, პროგრამული დაფინანსება - 1355625 ლარი, მიზნობრივი დაფინანსება წიგნების შესაძენად და ზამთრის სკოლა - 322 276 ლარი, მიზნობრივი - სომეხი სტუდენტების სტიპენდია - 22 800 ლარი, და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 1 772 645 ლარი); ეროვნული სამეცნიერო გრანტები - 6 523 656 ლარი; საერთაშორისო გრანტები - 1 485 030 ლარი; ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები - 431 597 ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა სულ შეადგინა 57 090 999 ლარი. მათ შორის: ,,შრომის ანაზღაურების'' მუხლით - 25 168 408 ლარი; ,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება'' - 17 739 278 ლარი; ,,მივლინებები'' - 1 116 153 ლარი; ,,ოფისის ხარჯები'' - 4 706 971 ლარი; ,,წარმომადგენლობითი ხარჯი'' - 531 262 ლარი; ,,რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი'' - 14 536 ლარი; ,,ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი'' - 277 982 ლარი; ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი'' - 1 258 733 ლარი; ,,გრანტები'' - 232 705 ლარი; ,,სხვა ხარჯები'' - 4 778 346 ლარი; ,,არაფინანსური აქტივები'' - 1 266 626 ლარი.

2013 წლის გადასახდელებში, რომელიც გაწერილია კონკრეტული მუხლების მიხედვით, ეროვნული საერთაშორისო ფონდის გრანტების გადასახდელებმა შეადგინა - 4 666 265 ლარი, ხოლო საერთაშორისო გრანტების - 3 328 745 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გადასახდელებმა - 4 185 247 ლარი. სახელმწიფო სტიპენდიამ - 999 150 ლარი.

როგორც გასულ წლებში, 2013 წელსაც გაგრძელდა გამოკვეთილი კურსი ფალულტეტების მეტ ჩართულობაზე ფინანსური რესურსების განკარგვაში, რაც მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება-რაციონალიზაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და ბიუჯეტის პრიორიტეტული მუხლების ხარჯვითი მიმართულებების დაფინანსებას. 2013 წელს ყველა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის არსებული თანამდებობრივი სარგო გაერთიანდა დანამატთან. გარდა ამისა, აკადემიურ პერსონალს დაენიშნა ახალი სახელფასო დანამატი, რითაც ფაქტიურად გაეზარდა ხელფასი პროფესორს - 150 ლარით, ასოცირებულ პროფესორს - 120 ლარით, ასისტენტ პროფესორს - 100 ლარით.

2013 წელს შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებები, კერძოდ: საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, იმიტირებულ პროცესებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობა.

შეფერხების გარეშე ფინანსდებოდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები და სხვა. დაფინანსებული იქნა ასევე დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილიც. მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით. სულ 699 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია. საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან 650 000 ლარით დაფინანსდა ბაკალავრიატის სტუდენტების და მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

2013 წლის ბოლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოიყო მიზნობრივი დაფინანსება 322 276 ლარი, საბიბლიოთეკო ფონდისათვის წიგნების შესაძენად და ზამთრის სკოლის ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლის ხარჯვაც განხორციელდება 2014 წელს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი 2014-2017 წლების საბიუჯეტო განაცხადი, რომელშიც ძირითადად გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯები.

როგორც გასულ წლებში, 2013 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას. გარკვეული მუშაობა გაიწია ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვების დამუშავებაზე; დამტკიცებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე პერსონალისათვის შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებაზე, საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მივლინებების, ექსპედიციების (არა მარტო საგრანტო პროექტების, თსუ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) ბრძანებების პროექტების მომზადებაზე, შესყიდვებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებაზე, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებაზე, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენაზე. ასევე გარკვეული მუშაობა გაიწია უნივერსიტეტთან შემოერთებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებაზე. 2013 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა 178 საგრანტო პროექტი. მათ შორის: 116 ეროვნული სამეცნიერო ფონდის და 62 საერთაშორისო გრანტის. უნივერსიტეტის მიერ გრანტების თანადაფინანსებაზე გახარჯულია 151 255 ლარი.

უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხს. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში მიმდინარე რთულ და შრომატევად ინვენტარიზაციის პროცესში. განხორციელდა კვარტალური, წლიური და სპეციალური გამოკვლევების სტატისტიკური ანგარიშგების მომზადება და დროულად წარდგენა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა უწყებებში.

2013 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 500 ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ჩართული იყო 4 კონსოლიდირებულ ტენდერში. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში 879 ხელშეკრულება. აქედან ტენდერით სახელმწიფო შესყიდვაზე 325 ხელშეკრულება, მათ შორის 34 კონსოლიდირებული და 554 ხელშეკრულება გამარტივებულ შესყიდვაზე. არ შედგა 127 ტენდერი, რაც გაცილებით ნაკლებია წინა წლებთან შედარებით და ძირითადად განპირობებული იყო მცირეფასიანი საგრანტო შესყიდვებით. ფაქტობრივად წლის განმავლობაში, დაფინანსების ყველა წყაროდან განხორციელდა 4 603 856 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. აქედან, 3 835 468 ლარის ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 370 656 ლარის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით, ხოლო 397 731 ლარის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა მხოლოდ 12-ჯერ და შეადგინა 67 478 ლარი, რაც 2-ჯერ ნაკლებია წინა წელთან შედარებით და შესყიდვების საერთო მოცულობის მხოლოდ 1,5 %-ს შეადგენს. შესყიდვის ამ საშუალების გამოყენება ძირითადად განპირობებული იყო თსუ-ს საკომუნიკაციო სისტემაში ავარიული დაზიანებების ლიკვიდაციისა და საგრანტო პროექტებისათვის აუცილებელი შესყიდვებით. 3 890 205 ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა თსუ-ს ეკონომიკური შემოსავლებიდან, 84 293 ლარის - სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული სახსრებიდან, ხოლო 629 356 ლარის - საერთაშორისო გრანტების დაფინანსებით. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებულია პირობითი ეკონომია (სხვაობა სავარაუდო ფასსა და ფაქტობრივ ფასს შორის) - 794 830 ლარის ოდენობით, მათ შორის 49 181 ლარი კონსოლიდირებული ტენდერებიდან. განხორციელებული შესყიდვების პროცედურებზე მაკონტროლებელი სამსახურიდან არსებითი შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

გარდა აღნიშნულისა სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული თსუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და თსუ-ს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად. 2014 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. (სხდომის ოქმი №8 27.12.2013 წელი).

მატერიალური რესურსების მართვის მხრივ, 2013 წლის განმავლობაში: თსუ-ს კორპუსებში უზრუნველყოფილი იქნა არსებული საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობა, ასევე კომუნალური გადასახადებისათვის დოკუმენტაციის მომზადება და გადახდაზე კონტროლის უზრუნველყოფა. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება სახარჯი და სანიტარული საშუალებებისა და ავეჯის შესყიდვის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელება, დაწესებულების სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურება.

ხორციელდებოდა ყოველდღიური შემოვლა თსუ-ს კორპუსებში და აღმოჩენილი წყალსაკანალიზაციო, ელექტრო კვანძების, წერტილების და სხვა სახის რესურსის დაზიანებების

ადგილზე შეკეთება, გათბობის სისტემების (მილების, რადიატორების, ქვაბების) მეთვალყურეობა, დაზიანებების აღმოფხვრა.

მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით, სისტემატურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სასწავლო კორპუსების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში - გარემონტდა სტუდენტთა მომსახურების ცენტრები, ტელე-სტუდია და მისი მიმდებარე ოთახები, გეოლოგების მუზეუმი, 150 კაციანი აუდიტორია, ლიტერატურის ინსტიტუტში გარემონტდა მე-3 და მე-4 სართულები, ოთახები და აუდიტორიები, დაიგო ასფალტი მაღლივი კორპუსისა და საწყობების მიმდებარე ტერიტორიაზე, თსუ-ს ბიბლიოთეკაში გაყვანილი იქნა დამატებითი საკანალიზაციო და სანიაღვრე მილები და სხვა.

ჩატარდა დიდი მოცულობის ისეთი სახის სამეურნეო სამუშაოები, როგორიცაა ფართის დაცლა/დასუფთავება, ავეჯისა და სხვა ინვენტარის გადაზიდვა, ინვენტარის გამოტანა-დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების გამოზიდვა სარემონტო სამუშაოების შემდეგ, მეათე–მეთერთმეტე კორპუსების მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნული გამოცდებისათვის და სხვა.

უნივერსიტეტის ავტოპარკის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი სატრანსპორტო მომსახურება: მოწვეული უცხოელი სტუმრების აეროპორტში დახვედრა-გაცილება და მათი ტრანსპორტირება ქალაქსა თუ ქალაქგარეთ; თსუ–ს სპორტსმენებისა და ქალთა ანსამბლ „გორდელას“ გადაადგილება საქართველოს მაშტაბით; თსუ–ს ადმინისტრაციის უკლებლივ ყველა დეპარტამენტის, ფაკულტეტისა და შემოერთებული ინსტიტუტების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება ტრანსპორტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის გადაადგილება შემოერთებული ინსტიტუტების ინსპექტირების ჩასატარებლად ქალაქში და ქალაქგარეთ. სტუდენტური თვითმართველობის ღონისძიებებისა და სტუდენტური ექსკურსიების სრული სატრანსპორტო უზრუნველყოფა საქართველოს მაშტაბით.

ბაგების სტუდქალაქში 90-მდე სტუდენტს გაუფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება; სხვადასხვა კორპუსებიდან სტუდქალაქში შემოტანილ და შეკეთებულ იქნა მეორადი ავეჯი, რომელიც მოთხოვნისამებრ დაურიგდათ სტუდენტებს;

უნივერსიტეტის სასაწყობე მეორნეობა უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგებას საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით და ხდებოდა მათი განაწილება დადგენილი წესის მიხედვით. ხორციელდებოდა სისტემატიური კონტროლი სასაწყობო მეურნეობაზე, მატერიალურ ფასეულობების მარაგზე და ამოწურვის შემთხვევაში დროული რეაგირება.

2013 წლის განმავლობაში ***პერსონალის მართვისა*** და მომსახურეობის მიმართულებით, დამტკიცებული საშტატო განრიგისა და სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ, მედიცინის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პერსონალთან სააუდიტორიო დატვირთვის

გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები;

2013 წელს თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის მომზადება და დამტკიცება წარიმართა ფაკულტეტებთან კონსულტაციების საფუძველზე. თსუ აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში, რამდენჯერმე, ფაკულტეტების და დეპარტამენტების ხელმძღვანელების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები და თსუ წესდების შესაბამისად, გამოიცა შესაბამისი ბრძანებები.

მოქმედი რეგულაციების თანახმად ორივე სემესტრის მიხედვით გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. დამუშავებული ინფორმაციაზე მოხდა შესაბამისი რეაგირება.

სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 2 352 მოწვეულ პედაგოგთან.

2013 წელს თსუ ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მოწვეულ დამხმარე პერსონალთან განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმება ან განახლება. სულ წლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა 1277 შრომითი ხელშეკრულება.

განხორციელდა, საკადრო ბაზაში სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.

2013 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, სულ 2180 პირი, შევნიშნავთ, რომ 2011 და 2012 წლებთან შედარებით დაზღვეულთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყოველთვიურად კონტროლდებოდა და ზუსტდებოდა დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც ხდებოდა თანხის გადარიცხვას. ხორციელდებოდა კონსულტაცია თსუ-ს პერსონალისათვის, დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, ასევე ამ მხრივ ინფორმაციის განთავსება თსუ-ს ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღება შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემა სადაზღვევო კომპანიისადმი.

სისტემატიზებული იქნა თსუ-ს პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებით თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები და პრეტენზიები, რაც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული 2013 წლის სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ, ტექნიკური დავალების მოსამზადებლად.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N2019 დადგენილების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ მომზადდა და თსუ ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ, ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 23 დეკემბრის N162/02-01 ბრძანების შესაბამისად.

სისტემატიურად კონტროლდება თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 09 ნოემბრის N38/04 ბრძანებით მოთხოვნილი სამივლინებო ანგარიშგების წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

2013 წელს მიმდინარეობდა - ყველა კატეგორიის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგება, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება, საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადება და წარდგენა დანიშნულების მიხედვით, კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარებების გაწევა, თსუ-ს პერსონალისათვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების გაცემა (ქართულ და ინგლისურ ენებზე). პერსონალის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების კონტროლი, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით. აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლი.

კომპიუტერული რესურსებისს მართვის მხრივ, 2013 წელს ქსელისა და სერვერული სისტემების, ინფრასტრუქტურის მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის, ტექნიკური მხარდაჭერის, უნივერსიტეტის საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის და გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ:

- განხორციელდა თსუ-ს კომპიუტერული ქსელის მოდერნიზაცია არსებული აპარატურით, რაც გამოიხატა ახალი მარშრუტიზატორისა და კომუტატორების დამონტაჟებასა და კონფიგურირებაში მაღლივ კორპუსის რეგიონსა და რამოდენიმე შემოერთებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ასევე თსუ-ს II, VI და VIII კორპუსებში;
- თსუ-ს სასერვერო ოთახში განხორციელდა კომპიტერული ქსელის გადაწყობა რამდენიმე კომუტატორის დაყენებით და მათზე ვირტუალური ლოკალური ქსელების (VLAN) დაკონფიგურირებით;
- მომზადდა მონაცემთა ბაზისა და ვებ აპლიკაციების სერვერი თსუ–ს ახალი ვებ-გვერდისათვის;
- შეიქმნა რამოდენიმე ვებ-გვერდი და გამოიყო მათთვის დომენი და დისკური სივრცეები სერვერებზე;
- სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დანერგილი საფინანსო სერვისისათვის შეიქმნა რამოდენიმე ვირტუალურ პრივატული შეერთება (VPN) კომპანია UCC-თან ბანკსა და გადახდის აპარატებთან დაკავშირებისათვის;
- მოხდა დისტანციური სწავლების ელექტრონული სისტემის "Moodle" ახალი სერვერის გამართვა და მასთან დაკავშირებული ე.წ. Streaming Media Server-ის კონფიგურირება;
- მობილური ოპერატორის შეცვლასთან დაკავშირებით მოდიფიკაცია გაუკეთდა მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისს message.tsu.ge-ს და მისთვის კომპანია „მაგთის“ სერვერთან შეიქმნა ვირტუალურ პრივატული შეერთება (VPN);
- კომპანია „გრენასთან“ ჩაირთო ახალი 1გბ სიჩქარის მქონე არხი ოპტიკური მოდულის საშუალებით;

- სტუდენტებისა და თანამშრომლების მიერ, საზღვარგარეთის ელექტრონული ბიბლიოთეკებით სარგებლობის მიზნით, თსუ-ს ბიბლიოთეკისათვის გაიმართა სერვერი;
- თსუ-ს ბიბლიოთეკისათვის გაიმართა სერვერი evergreen.tsu.ge ელექტრონული კატალოგების შექმნისა და აღრიცხვიანობისათვის;
- გაიმართა სერვერი ids.tsu.ge თსუ-ს ქსელში კიბერშეტევების დეტექტირებისა და ანალიზისათვის;
- შეიქმნა ახალი VPN სერვერი ფაკულტეტის თანამშრომლებისათვის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში უსაფრთხო დაკავშირებასა და მუშაობისათვის;
- დეპარტამენტმა მოახდინა შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ვებ-გვერდების საერთო დომენურ (tsu.ge) სივრცეში ინტეგრაცია;
- შემუშავდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემისათვის ახალი სერვერებისა და მონაცემთა საცავის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო შესყიდვისათვის;
- შემუშავდა ინტერნეტის მოწოდებისა და ქსელური მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო შესყიდვისათვის.
- ელექტრონული სწავლების მიმართულებით მოხდა ათეულობით ელექტრონული კურსის დამატება მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში. აგრეთვე კონსულტაციები გაეწია პედაგოგებს ელექტრონული კურსების მომზადებასა და მათ განთავსებაში მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში;
- განხორციელდა რამოდენიმე ვიდეოკონფერენცია, როგორც უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებთან, ასევე სასწავლო პროცესის მიხედვით დაგეგმილი დისტანციური ლექციების წასაკითხად.

ამ მიმართულებით წლის განმავლობაში მომზადებული იქნა 81 სატენდერო წინადადების ტექნიკური დოკუმენტაცია. აგრეთვე, მიმდინარეობდა შეძენილი კომპიუტერული ტექნიკის ინსპექტირება.

2013 წელს გაწეული სამუშაოების შედეგად მოხერხდა უნივერსიტეტის სამუშაო პროცესის ავტომატიზების გაუმჯობესება, ასევე მოხდა არსებული სისტემების მხარდაჭერა/ოპტიმიზაცია (აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტუდენტთა სწავლების მართვის სისტემებით (სპმს), ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის სისტემებით (Oris Manager, ERP)), კონკრეტულად:

შეიქმნა სტუდენტთა შიდა მობილობის პორტალი. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა დაუკავშირდა საფინანსო ბაზას. შეიქმნა სერვისი, რომლის მეშვეობითაც ბანკში სტუდენტის მიერ გადახდილი თანხა ისახება თსუ-ს საფინანსო ბაზაში ავტომატურად. დაიხვეწა ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემა''; გაიზარდა სისტემის წარმადობა; ამაღლდა სისტემის უსაფრთხოება. გაკეთდა თსუ-ს სტუდქალაქში მაცხოვრებელთა და მათი ბინის ქირის აღრიცხვის მონაცემთა ბაზა, შესაბამისი ინტერფეისებით. Oris-ში აეწყო საწყობის მოდელი (საწყობს და საფინანსოს პარარელურ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა); თსუ-ს საიტზე ბიბლიოთეკის განყოფილებაში ,,უნივერსიტეტელი ავტორების'' მოდული შეიქმნა. შეიქმნა თსუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფების მოთხოვნების შესრულების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა და შესაბამისი ინტერფეისი ოპერატორთა აღმრიცხველისთვის. შეიქმნა კონფერენციის საიტი ,,ევროპული

ღირებულებები და იდენტობა''. შეიქმნა კონფერენციის საიტი შექსპირის 450 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

2013 წელს უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის, კლიენტური აპარატული მოწყობილობების მხარდაჭერა-რემონტის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფისათვის შესრულდა სხვადასხვა სახის სამუშაოები.

III. საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები და ურთიერთობა საზოგადოებასთან

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით 2013 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შუქდებოდა მედია-საშუალებებით (თვეში საშუალოდ 500-700 ინფორმაცია, საგაზეთო მასალა ან რეპორტაჟი). გარდა ამისა მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. ტელეპროექტებში აქტიურად იყო წარმოდგენილი თსუ აკადემიური პერსონალი ექსპერტების რანგში, მომზადდა ტელეგადაცემები თსუ-ს რექტორის მონაწილეობით.

2013 წელს გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ ორი ნომერი, საგაზეთო ჩანართის „უნივერსიტეტი“ 11 ნომერი (მათ შორის ერთი რვაგვერდიანი სპეცნომერი), რომელთა მიზანი უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის, კვლევითი პროექტების, სასწავლო პროგრამების და სტუდენტური აქტივობის პოპულარიზაციაა.

2013 წელს გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. წლის განმავლობაში 400-მდე ღონისძიება გაიმართა.

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ს 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. იუბილეს ფარგლებში უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 6 პროფესორი - ქეთევან მარშავა, დავით გორდეზიანი, ალექსანდრე რონდელი, თემურ ჯორბენაძე, გურამ ნაჭყებია და ლილი ჟორჟოლიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლებით დაჯილდოვდნენ; გაიმართა წიგნის ,,Rettulit, ლიტერატურული დაბრუნება'' პრეზენტაცია, რომელშიც თსუ-ს კურსდამთავრებული სხვადასხვა თაობის 15 მწერლის ნაწარმოებები გაერთიანდა. თსუ-მ სიურპრიზი მოუმზადა სტუდენტებს - პროექტმა ,,ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად'' ყველა სტუდენტს საშუალება მისცა საახალწლო სურვილები დაეწერა ბარათზე და ნაძვის ხეზე განეთავსებინა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველაზე ორიგინალური სამი სურვილი შეუსრულა მათ ავტორებს. საიუბილეო საღამოზე საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა ახალი პროექტი წარმოადგინა - ფოლკლორულმა ანსამბლ ,,უნივერსიტეტის'' და ჯგუფ ,,თსუ არტის'' მუსიკალური ექსპერიმენტი - საუნივერსიტეტო ჰიმნი „გაუდეამუსი'' თანამედროვე არანჟირებით

მოისმინეს სტუმრებმა. საიუბილეო წლის ფარგლებში განხორციელდა ფოტოპროექტის ,,მე-უნივერსიტეტი”-ს 3 ეტაპი. მომზადდა ფოტოალბომი.

დიდი იყო მედიის ინტერესი რექტორის 100 დღის ანგარიშისადმი. 26 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ საზოგადოებას გააცნო ის ცვლილებები და სიახლეები, რომელიც რექტორობის 100 დღიან პერიოდში განხორციელდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი სასწავლო წელი 16 სექტემბერს დაიწყო. პირველი კორპუსის წინ შეკრებილ სტუდენტებს სწავლის დაწყება უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიულოცეს.

2013 წელს სოციალურ ქსელში – Facebook-ში აქტივობის მაჩვენებელი გაიზარდა. დღეისთვის 45 000-ზე მეტი მომხმარებელი იღებს ინფორმაციას თსუ-ს საქმიანობის შესახებ, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube–ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი, ასევე უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეომასალები.

2013 წელს უნივერსიტეტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებთან: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს მთავრობის კანცელარია - პრემიერ-მინისტრის აპარატი; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსხალებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს უზენაესი და თბილისის საქალაქო სასამართლოები; თბილისის მერია; საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსში ,,შემოდგომის ლეგენდა” 2013 წელს 15 უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

კონკურსში მონაწილეობა 325 სტუდენტმა მიიღო, მათ შორის სპეციალურმა ჟიურიმ 12 საუკეთესო გამოავლინა.

გამოიცა 5 წლის განმავლობაში ,,შემოდგომის ლეგენდის” კონკურსის ფინალისტების ლიტერატურული ნაწარმოებების ბროშურების ნაკრები.

2013 წელს კომპანია „ნატახტართან“ ერთად განხორციელდა პროექტი „მისია 2013“. უნივერსიტეტის მასშტაბით შემოვიდა 55 სტუდენტური ჯგუფის 57 პროექტი. 5 ფინალისტ გუნდს კომპანიის წარმომადგენლებმა და თსუ-ს პროფესორებმა ჩაუტარეს ტრენინგი და კონსულტაციები. გამარჯვებულ 3 ჯგუფს კომპანიამ „ნატახტარმა'' გადასცა ფულადი პრემიები. სამივე ჯგუფის წევრებმა კომპანია „ნატახტარის'' მარკეტინგის განყოფილებაში ორთვიანი სტაჟირება გაიარეს.

წინასაახალწლოდ მომზადდა უნივერსიტეტის საიმიჯო ატრიბუტიკა; მათ შორის, კალენდარი და საფოსტო ბარათები, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის ისტორიას.

2013 წელს საზეიმოდ აღინიშნა ბაკალავრთა და მაგისტრთა გამოშვების ღონისძიებები.

2013 წელს გაიმართა სტუდენტური ფოტოკონკურსი „UNIკადრი“. 3 ნომინაციაში წარმოდგენილი იყო 132 ნამუშევარი. ჟიურის მიერ გამოვლენილ 3 გამარჯვებული ნამუშევრის ავტორებზე გაიცა ფულადი პრემია თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

14-15 თებერვალს გაიმართა „განათლების საერთაშორისო გამოფენა 2013“, რომელზეც თსუ საკუთარი კონცეფციითა და სლოგანით ,,იარე ჩვენთან ერთად'' წარსდგა. სლოგანი აერთიანებს კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. „განათლების საერთაშორისო გამოფენა 2013“-ზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ნომინაციაში საგამოფენო სტენდის საუკეთესო დიზაინისთვის'' გამარჯვებისთვის სერთიფიკატი მიიღო.

2013 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაშუქდა ტელევიზიებში: ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი'', ,,რუსთავი 2'', ,,იმედი'', ,,კავკასია'', ,,საპატრიარქოს ტელევიზია'', ტელეკომპანია ,,აჭარა'', „მეცხრე არხი“, „მაესტრო“. გაზეთებსა და ჟურნალებში: ,,24 საათი'', ,,ახალი თაობა'', ,,რეზონანსი'', ,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,კვირის პალიტრა'', „ტაბულა“, „ლიბერალი“, „პრაიმ–თაიმი“. რადიოში: ,,საზოგადოებრივი რადიო'', ,,ფორტუნა'', ,,რადიო იმედი", ,,რადიო უცნობი", ,,თავისუფლება'', ,,მწვანე ტალღა'', „რადიო პალიტრა“, „ცხელი შოკოლადი“. საინფორმაციო სააგენტოებში: ,,ინტერპრესნიუსი", ,,პირველი'', ,,მედიანიუსი'', ,,ბი-ეს-პრესი'', ,,კავკას-პრესი'', ,,ახალი ამბები _ საქართველო'', ,,საინფორმაციო სააგენტო –ფაქტი'', ,,ექსპრესნიუსი'', „ინფო-9'', „ივერონი'', „ფრონტნიუსი'', „ნიუს.ჯი''.

ტელეკომპანია ,,რუსთავი 2''-ის, ,,იმედისა'' და ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენებზე.

საგარეო ურთიერთობების მხრივ, საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლების მიმართულებით, ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიების, სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე შემუშავებულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის 27 ხელშეკრულება უმაღლეს საგანმანათლებლო საწესებულებებთან.

მომზადდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შუამდგომლობის მრავალი წერილი თსუ-ს სტუდენტებსა და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალზე ვიზების გაცემის მიზნით; ასევე, მომზადდა ასობით უცხოენოვანი წერილი, მათ შორის, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ათეულობით ინსტიტუციონალური მხარდაჭერის წერილი/მანდატი და ა. შ.

პროექტის ინიციატორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 5 საერთაშორისო საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 4 პროექტი.

2013 წელს ადმინისტრირება გაეწია შემდეგ პროექტებს: ERASMUS MUNDUS - WEBB (372234-1-2012-1-IT-ERA-MUNDUS-EMA21) საერთო ბიუჯეტი: 3,926,700 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე; ERASMUS MUNDUS - BACKIS (2012-2741/001-001-EMA) საერთო ბიუჯეტი: 3,960,800 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე; ERASMUS MUNDUS - ELECTRA (2012-2738/001-001-EMA2) საერთო ბიუჯეტი: 3,959,725 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე; ERASMUS MUNDUS - IANUS (372311-1-2012-1-RO- ERA-MUNDUS-EMA21) საერთო ბიუჯეტი: 3,920,475 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე; ERASMUS MUNDUS - EMBER (2013 – 2525/001-001-EMA2) საერთო ბიუჯეტი: 3,090,150 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე; ERASMUS MUNDUS – HERMES საერთო ბიუჯეტი: 2,299,375 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე; TEMPUS - La MANCHE (530621- TEMPUS-1-2012-1-BG- TEMPUS-JPGR) საერთო ბიუჯეტი 837,652 ევრო; ხანგრძლივობა 36 თვე; TEMPUS - CASEDE (530566-TEMPUS-1-2012-1-LT-TEMPUS-SMGR (2012-3045/001-001)) საერთო ბიუჯეტი 883,661 ევრო; ხანგრძლივობა 24 თვე; TEMPUS – ICAEN (516663-TEMPUS-1-2011-1-ES-TEMPUS.SMGR) საერთო ბიუჯეტი 968,355.35 ევრო; ხანგრძლივობა 36 თვე.

ერასმუს მუნდუსის პროექტების ფარგლებში ორგანიზება უკეთდება თსუ-ს სამივე საფეხურის სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისევე როგორც კონსორციუმის წევრი ევროპული უნივერსიტეტების სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას თსუ-ში; ტემპუსის პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სწავლის, სწავლების, კვლევის და განათლების მენეჯმენტის ინტერნაციონალიზაციაზე.

ორგანიზება გაუკეთდა ათეულობით საერთაშორისო კონფერენციას, სემინარს, საჯარო ლექციას და რიგ შემთხვევებში უზრუნველყო ღონისძიების ინგლისურ/გერმანულენოვანი თარგმანი.

მოხდა 3 საპატიო სტუმრისთვის საპატიო დოქტორის ტიტულის მინიჭების ღონისძიების ორგანიზება: 1. ანდრეას კნორი - გამოჩენილი მეცნიერი, გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტიის პროფესორი.2. დონალდ რეიფილდი - გამოჩენილი მეცნიერი, ბრიტანელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი. 3. დოქ. ჰაინერ ალვარტი - იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა კამოეშის სახელობის პროტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი. ამასთანავე, გაიხსნა ქართული ენისა და კულტურის ცენტრი ლა პლატას უნივერსიტეტში (არგენტინა), რომელსაც ხელმძღვანელობენ თსუ-დან პერიოდულად მიწვეული პროფესორები.

გავრცელდა 200-მდე განცხადება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ და დაინტერესებულ პირებს გაეწია კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით.

ორგანიზება მოხდა თსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცხადებული სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 125-მა სტუდენტმა და 11-მა აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა. ასევე, თსუ-ს ფაკულტეტების მხრიდან წარდგინების საფუძველზე საერთშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 40-მა სტუდენტმა და 10მა აკადემიურმა პერსონალმა.

თსუ-სა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და ერასმუს მუნდუსის პროექტების ფარგლებში ორგანიზება გაეწია ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 36 გაცვლითი სტუდენტისა და 11 აკადემიური პერსონალის ვიზიტს და უზრუნველყოფილ იქნა მათი მობილობა თსუ-ს პროფილურ ფაკულტეტებზე.

ორგანიზება გაეწია თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციულ/აკადემიური პერსონალის 42 სამუშაო ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

თსუ - საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებთან საგანმანათლებლო/აღმზრდელობით მუშაობაში. მათ საქმიანობაში თეორიულ დახმარებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტი უწევს.

უაღრესად პოპულარულია მოსწავლეთა ექსკურსიები პირველ კორპუსში, ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის სხვადასხვა მუზეუმში, სადაც მოსწავლეებს მეგზურობას უწევენ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები. წელიწადში მუზეუმებს 200-მდე მოსწავლე სტუმრობს.

საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად ფორმას შემეცნებითი სალექციო კურსები - „ნორჩთა სკოლები“ - წარმოადგენს, მაგალითად: „ნორჩ ასტრონომთა სკოლა“, მეცადინეობა ტარდება თსუ მე-2 კორპ. პლანეტარიუმში და რუსთავში - წლის განმავლობაში 200-მდე მოსწავლეს მოიცავს; „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“, ლექციებს კითხულობენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები, წლის განმავლობაში 150-მდე მოსწავლეს მოიცავს; „ნორჩ ექსპერიმენტატორ ფიზიკოსთა სკოლა“ - 60-მდე მოსწავლე; „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“ - 40-მდე მოსწავლე; „ნორჩ გეოგრაფთა სკოლა“ - 120-მდე მოსწავლე;

გამოყენებითი მათემატიკის ზამთრის და ზაფხულის სკოლა, რომელიც თსუ-საბავშვო უნივერსიტეტისა და ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთობლივად უკვე ოთხჯერ ჩატარდა. ამ სკოლის მუშაობაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების არაქართულენოვანი რეგიონებიდან და უცხოეთიდან (თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან) მოზიდვას. სულ - 200-მდე მოსწავლე.

მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება პროექტი „თსუ-დესპანი“, რომელშიც, 2013/2014 სასწავლო წელს თსუ-ის ხვადასხვა ფაკულტეტის 800-მდე სტუდენტი ჩაება. დაინერგა პროექტი ,,გააცანი შენი პროფესია“, რომელიც პროფესიების შესახებ აბიტურიენტების ინფორმირებაში მდგომარეობს. დღემდე ამ ორი პროექტით საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში ათასობით მოსწავლესთან განხორციელდა უშუალო კონტაქტი.

თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს რეგიონებში, არაქართულენოვან მოსახლეობასთან, სტუდენტურ კლუბებთან და ა.შ. აღსანიშნავია ჩატარებული „ღია კარის დღეები“ და თემატური შეხვედრები რუსთავის, ახალქალაქის, ქუთაისის, ბორჯომის, მარნეულის, ჭიათურას, ქარელის და ა.შ. რეგიონებში.

2013 წლის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ მომზადდა და გამოიცა ***გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის***" 16 ნომერი (აქედან 4 სპეც-ნომერი), რომლის გავრცელებაც (ტირაჟი - 1600 ც.) უნივერსიტეტის მასშტაბით იქნა უზრუნველყოფილი.

2013 წელს გამოცემული გაზეთის ნომრებში გაშუქდა ინფორმაცია: უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და ღონისძიებების (კონფერენციების, იუბილეების, ბრიფინგების, პრეზენტაციების, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალების და ა.შ.) შესახებ; უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებები, პოზიციები და მათი საქმიანობა; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიციები უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებით; უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები; სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები; უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები; პროფესორთა, მეცნიერ-მკვლევართა, წარმატებულ დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და ბაკალავრთა პოპულარიზაციის მიზნით მათ შესახებ ინფორმაციები (ინტერვიუს სახით); სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რაც ხელს უწყობს მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესს; საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციები; უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური მოძრაობებისა და დამოუკიდებელ სტუდენტთა საქმიანობა, მათი ინიციატივები და ღონისძიებები; სტუდენტური პროექტები; უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურული და სპორტული მიღწევები.

მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და დიდი ოდენობისაა უნივერსიტეტის მიერ ოფიციალური მიმოწერის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დამყარებული ოფიციალური ურთიერთობა, რაც საკანცელარიო წესით აღირიცხება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის **კანცელარიის** მიერ და 2013 წელს გამოიხატა შემდეგ რიცხვებში:

2013 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა 66 386 კორესპონდენცია.

მათ შორის:

შემოსული კორესპონდენცია	40 605
კონტროლზე იყო აყვანილი	3 945
ყველა წერილზე რეაგირება მოხდა დადგენილ ვადაში, (115 წერილს გაუგრძელდა წერილზე მუშაობის ვადა)	
გამოიცა ბრძანება	7 430
გაფორმდა ხელშეკრულება (მემორანდუმი)	6 844(47)
სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა კორესპონდენცია	11 507

წინა წელთან შედარებით დოკუმენტბრუნვა გაიზარდა 13,6 %-ით. შემოსული კორესპონდენციის, გასული კორესპოდენციისა და ბრძანებების რაოდენობა გაიზარდა, ხოლო ხელშეკრულებების რაოდენობა შემცირდა. შემოსული კორესპოდენციის რაოდენობის ზრდა ძირითადად განაპირობა სტუდენტთა მოთხოვნებმა სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდისა და სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. სწავლის საფასურის დაბრუნება უკავშირდება შიდა საუნივერსიტეტო, განათლების სამინისტროს, მერიის, მუნიციპალიტეტებისა და ინვენსტორების მიერ სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებას.

გასული კორესპონდენციის რაოდენობის ზრდა უკავშირდება განათლების სამინისტროდან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან და ასევე, სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების მიზნით შემოსულ მოთხოვნებს დიპლომების ავთენტურობის დადგენაზე, სტუდენტთა მიერ უცხოეთში აღებული კრედიტების აღიარების, უნივერსიტეტში სწავლის, დიპლომის და დიპლომის დანართების გაცემის ფაქტის დადასტურებაზე.

ხელშეკრულებების რაოდენობის შემცირება კი უკავშირდება მოქმედი ხელშეკრულებების ვადის ბრძანებით გაგრძელების დანერგილ პრაქტიკას.

გაიზარდა დოკუმენტბრუნვის კოეფიციენტი. კერძოდ, შემოსულია 40 605 კორესპონდენცია, ხოლო განხილულია 47 408, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კორესპონდენცია რეზოლუციის მიხედვით განსახილველად გადაეცემა რამოდენიმე სამსახურს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღინიშნოს რომ, შემოსული კორესპონდენციის 24% შესრულდა დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 60% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში შემოსული კორესპონდენციის 84%-ზე დასრულდა მუშაობა და მოიხსნა კონტროლიდან. 15-დან 30 დღეში, დოკუმენტზე მუშაობის ვადაში (30 დღე) დასრულდა მუშაობა კორესპონდენციის 13%-ზე, მხოლოდ კორესპონდენციის 3% მოიხსნა კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია, ის ფაქტი რომ აღნიშნული განსაზღვრული იყო ძირითადად ობიექტური გარემოებებით და დაკავშირებული იყო ტენდერით რეგულირებად საკითხებთან.

ყოველთვიურად დგება შეუსრულებელი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისათვის. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შეიქმნას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

IV. საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა

საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2013 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა, რაც მოიცავდა უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის იურიდიულ ანალიზსა და რეკომენდაციებს, სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე კანონდარღვევათა მაქსიმალურ პრევენციას, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, სასამართლოში უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას. კერძოდ,

2013 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები (სულ 27), აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 13, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული დავა - 2, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 3, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით - 4, სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით - 1, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით - 1, სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით - 2, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით - 1, 2013 წელს დამთავრებული საქმეები (სულ - 13) აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 8, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავა - 1, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებული დავა - 2, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობასთან დაკავშირებული დავა - 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეგისტრირებული იქნა 54 განაცხადი. აღნიშნული 54 განაცხადიდან: დაკმაყოფილდა - 49, არ დაკმაყოფილდა - 5 (ინფორმაციის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობის გამო).

სამართლებრივი შეფასება და რეაგირება გაუკეთდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულ 1 480 განცხადებაში დასმულ საკითხებს, მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, საგრანტო ხელშეკრულებებს, მომზადდა ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები.

გატარდა და მიმდინარეობს ღონისძიებები უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები). უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით საკუთრებაში გადმოცემულია 15 ერთეული სასწავლო კორპუსი. 2013 წელს დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების დებულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათში ცვლილებების შეტანა და ახალი დებულებების დამტკიცება.

ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, იჯარის ფორმით გაიცა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სასადილოს ფართები პირველ სასწავლო კორპუსში (შეწყდა მოიჯარის თხოვნის საფუძველზე), პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში მდებარე სასადილოს შენობასა და მე-10 სასწავლო კორპუსში. ასევე, გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩამოწერილი მოძრავი ქონების შედეგად მიღებული ჯართის რეალიზების მიზნით.

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N2019 დადგენილების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, გამოიცა 2013 წლის 23 დეკემბრის N162/02-01 ბრძანება და ხსენებული აქტების შესაბამისად მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის ატვირთვა და განახლება დადგენილი წესით.

საქმიანობის კონტროლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ 2013 წლის განმავლობაში ***შიდა აუდიტის*** განხორციელების მხრივ გაწეული იქნა მასშტაბური და მრავალმხრივი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა. ამასთან, უნივერსიტეტში შემოსული წერილების (საჩივრები, კითხვები და ა.შ.) შესწავლა და შესაბამისი რეაგირება. უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიმართვის საფუძველზე, ხდებოდა კონსულტაციების გაწევა და სათანადო რეკომენდაციების მიცემა სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში, რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე მომზადებული მოხსენებითი ბარათების სახით, ხორციელდებოდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. კერძოდ:

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსის წერილის (№10769/02, 08.04.2013) საფუძველზე შესწავლილი იქნა საკითხი, რომელიც შეეხებოდა 2011-2013 სასწავლო წლებში ეკონომიკისა და ბიზნესის, აგრეთვე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტთა საგამოცდო მონაცემების ელექტრონულ ბაზებში არაუფლებამისილი პირების მიერ, ცენტრის უფროსის პაროლის გამოყენებით, წინაპირობის ქულების და გამოცდების შედეგების ცვლილებებს. შესწავლილი იქნა თსუ-სა და სსიპ - რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (NGNSF/ST08/2-369, 23.03.2009წ.) ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საკითხი. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ,,ჟან მონეს სახელობის კათედრის შესახებ'' N2008-2754/001-001 საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო შეთანხმების პირობების შესრულების მდგომარეობას და მის საფუძველზე გაფორმებული საგრანტო შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის ბიუჯეტიდან თანხების (ჰონორარის) გაცემის კანონიერებას. გაანალიზდა უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის აქტი. შესწავლილი იქნა პროფესორ ლ. ხიხაძის განცხადება (საჩივარი) (№28807/02, 06.11.2012წ.), რომელიც შეეხებოდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და საათობრივი დატვირთვის ობიექტურობას. შერჩევით შემოწმებულ იქნა ბაგების სტუდქალაქის შემოსავლების ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობა. შესწავლილი იქნა შემდგომი მოკვლევისა და რეაგირების მიზნით გადმოცემულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის კორესპოდენციაში (№3437/02, 14.02.2013) დასმული საკითხი, რომელიც შეეხებოდა ფაკულტეტის კანცელარიის მიერ სტუდენტზე ცნობის გაცემისა და შესაბამისი დოკუმენტბრუნვის კანონიერებას. შესწავლილი იქნა საკითხი რომელიც შეეხებოდა 2010-2013 წლებში მაგისტრატურაში ცალკეულ სტუდენტთა ჩარიცხვის თემას, რომლებსაც არ ჰქონდათ ჩაბარებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისათვის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდები. გაანალიზდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების – ფაკულტეტების მიერ 2010-2013 წლებში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტების შედგენა–დამტკიცების არსებული მდგომარეობა. შერჩევით შემოწმდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგების მიერ 2011-2012

სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრში სასწავლო ცხრილების საფუძველზე სავალდებულო დატვირთვების შესრულებისა და დარიცხული შრომის ანაზღაურების თანხების შესაბამისობა შრომით ხელშეკრულების პირობებთან. განხილული იქნა მოქალაქის საჩივარი (№31119/02, 02.10.2013), რომელიც შეეხებოდა მასზე დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემის საკითხის. 2013 წლის 26 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა მოქალაქე ი. უბირიას N36947/02 ადმინისტრაციული საჩივარი, მის სახელზე დიპლომის გაცემის მოთხოვნით. საკითხი შესწავლილ იქნა და შედეგების (მოთხოვნის დაუკმაყოფილებლის) შესახებ მოქალაქეს ეცნობა 2013 წლის 13 დეკემბერს N2077/01-01-09-08 წერილით. 2013 წლის 17-20 ივლისს განხორციელდა ქ. ქობულეთში საველე პრაქტიკებში მონაწილე ჯგუფების მონიტორინგი. 2013 წელს შემოსული იყო დამოუკიდებელ პროფესორთა ლიგის წევრის თ. არჩვაძის (№29421/02, 23.09.2013) წერილი, რომელიც შეეხებოდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ დარღვევებს, შესაბამისად შესწავლილ იქნა წერილში აღნიშნული თითოეული საკითხი. შესწავლილი იქნა სტუდენტის მობილობის შემთხვევაში გრანტის შენარჩუნების საკითხი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 15.09.2011 წლის №154 ბრძანების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობის გამო წარმოქმნილ ხარვეზთან დაკავშირებით. შესწავლილი იქნა კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 21 ივნისის N17609/02 წერილში დასმული საკითხი, რომელიც შეეხებოდა ინსტიტუტის თანამშრომლებზე 1998-2003 წლებში შრომის ანაზღაურების თანხების გაუცემლობით წარმოქმნილ და დღემდე კრედიტორული დავალიანების სახით რიცხულ თანხებს. ასევე შესწავლილი იქნა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N29297/02 წერილი, რომელიც შეეხებოდა უნივერისტეტის მიერ გამოცემული ,,ქართულ–რუსული ლექსიკონის“ პრეზენტაციამდე უცნობი პიროვნების მიერ რეალიზაციის ფაქტს. შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების შესაბამისობა მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და სხვა კერძო პირთა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა. სტრუქტურულ ერთეულთა წერილებში დასმული საკითხები.

სულ საანგარიშო წელს შიდა აუდიტის განხორციელების მხრივ განსახილველად მიღებული იქნა ათასზე მეტი წერილი. მათ შორის სამსახურში სამსახურიბრივი დისციპლინის საკითხებთან დაკავშირებული - 908 ახსნა-განმარტებითი ბარათი.

დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით 2013 წელს ტარდებოდა მიმდინარე საქმიანობა.
დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებული პირებისთვის გაუმჯობესდა სამუშაო პირობები. აღნიშნული აისახა არა მხოლოდ საგუშაგოების მოწყობაში და არსებული საგუშაგოების წესრიგში მოყვანით, არამედ სამუშაო დატვირთვის უფრო ეფექტურად განაწილებაში (სამუშაო, დასვენების და შესვენების დროის ოპტიმიზაციის შედეგად). აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას მცველმა უკეთესად განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. პირად შემადგენლობაში ეფექტური საქმიანობის და დაცვის სამსახურისთვის აუცილებელი დისციპლინის სათანადო დონეზე შენარჩუნების მიზნით მუდმივად ტარდებოდა შესაბამისი ინფორმაციული ხასიათის თათბირები, ტრენინგები. შრომის შინაგანაწესის და დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში

მცველებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. 2013 წლის სექტემბერში აღიკვეთა ინციდენტი პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ეზოში. 2013 წლის ნოემბერში აღიკვეთა ინციდენტი სტუდენტებს შორის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში.

2013 წლის მარტში ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ჩაატარა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებთან ხანძარსაწინააგმდეგო და სამაშველო საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში დაცვის თანამშრომლებმა მიიღეს თეორიული ცოდნა, მსხვერპლიანობის შემცირების მიზნით, რა მოქმედებები უნდა ჩაატარონ ხანძრის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვაგვარი კატასტროფების შემთხვევაში. 2013 წლის ზაფხულში დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პირად შემადგენლობას ჩაუტარდა ტრეინინგი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. 2013 წლის ნოემბერში შემოწმებული იქნა უნივერსიტეტის კორპუსებში გამათბობლების ექსპლოატაციის მდგომარეობა სახანძრო უსაფრთხოების მიზნით.

ბაგების სტუდქალაქის და მაღლივი კორპუსის დამაკავშირებელ ფეხით მოსიარულეთა ხიდთან დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით გაიხსნა საგუშაგო, რომელზეც უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის სამუშაო სათანადო პიროებების შექმნის მიზნით დაიდგა დაცვის ახალი ჯიხური.

თსუ პირველ და მეორე კორპუსებს შორის, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე არსებული ჯიხური როგორც ვიზუალურად აგრეთვე სამუშაო პირობებით ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. შესაბამისად მოხდა მისი ჩანაცვლება ახალი ჯიხურით.

თსუ პირველი და მეორე კორპუსების უკან, ეზოში, ტერიტორიის უკეთ გაკონტროლების და აღნიშნულ საგუშაგოზე მომსახურე პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით დაიდგა დაცვის ჯიხური.

უნივერსიტეტის V და VI კორპუსები მთლიანად აღიჭურვა თანამედროვე ტიპის IP სისტემის სამეთვალყურეო კამერებით, რაც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს უნივერსიტეტის აღნიშნულ კორპუსებში როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე არსებული ვითარება დანაშაულებრივი ხელყოფის ან სხვა სახის სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით.

ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის დასაცავად დაიდო ახალი ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.

თსუ ობიექტებზე დამონტაჟებული საგანგაშო ღილაკების ფუნქციონირებისთვის დაიდო ახალი ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველყოფის, აგრეთვე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში არსებული სასიგნალიზაციო პულტის ფუნქციონირების მიზნით განცხადებით მიემართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შესაბამისი სიხშირეების ხელახლა მინიჭების მიზნით (ნებართვა სიხშირეებით სარგებლობის შესახებ მოქმედებს 1 წელი).

სპეცკავშირის სისტემით საკომუნიკაციო მომსახურეობის მიზნით გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოსთან.

მაღლივ კორპუსში არსებულ მე–3 რესურსცენტრში დამონტაჟდა სიგნალიზაციის რადიო გადამცემი; თსუ ავტოფარეხის ტერიტორიაზე ქიმიური რეაქტივების საწყობში არსებული ქიმიური შემადგენლობის მქონე ნივთიერებების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია; თსუ VI კორპუსში მულტიმედია ცენტრში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია; თსუ–ს ბიოლოგების კორპუსში დამონტაჟებულ სიგნალიზაციაზე შეიცვალა დაზიანებული სარეზერვო კვების წყარო; II კორპუსის 234–ე ოთახში (ფოლქსვაგენის ცენტრი) არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია; თსუ I კორპუსში სასერვეროს ოთახი არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია; VIII კორპუსში 218–ე ოთახში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია.

II კორპუსში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურეობის ცენტრში არსებული მატერიალური ფასეულობების და ოთახებში შეანახული დოკუმენტაციის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის პრევენციის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია.

ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მე–2 კორპუსი მთლიანად აღიჭურვა სიგნალიზაციით, რამაც საშუალება მოგვცა აღნიშნული კორპუსის დასაცავად გამოყოფილი ადამიანური რესურსი გამოყენებული ყოფილიყო სხვა ობიექტების დასაცავად. აღნიშნული ღონისძიების გატარებით დაიზოგა ფინანსური რესურსიც.

თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფოიეში არსებული ვითარების გაკონტროლების მიზნით დამონტაჟდა 3 ცალი ვიდეოკამერა, დაიდგა ვიდეოკამერების ჩამწერი მოწყობილობა და მონიტორი.

V. საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში

უნივერსიტეტში 2013 წლის 3 და 4 იანვარს ჩატარდა ღონისძიება უნივერსიტეტის თანამშრომლების შვილებისათვის, რომელიც წარმოადგინა თეატრმა ,,სხვენი''. ბავშვები დაესწრნენ ,,ფიფქია და შვიდი ჯუჯას'' და დაურიგდათ სპეციალურად მათთვის მომზადებული საჩუქრები.

თსუ-გორდელა დუშეთში - თსუ-ს გოგონათა ანსამბლმა ,,თსუ გორდელა'' 1 თებერვალს მონაწილეობა მიიღო ეკა ხოსიაშვილის დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო კონცერტში, რომელიც გაიმართა დუშეთის კულტურის სახლში.

„სხვენი“ წეროვანში - 2013 წლის 2 თებერვალს, 14:00 საათზე თსუ-ს სტუდენტურმა თეატრმა ,,სხვენი" წეროვანში არსებულ დევნილთა დასახლებაში დევნილი ბავშვებისათვის ორგანიზაცია CABIR-ის (Capacity Building In International Relation) მიერ ორგანიზებულ სოციალურ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა კლოუნადა, სახელწოდებით ,,ბალაგანი'' რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფილმი თსუ გორდელას შესახებ - 13 თებერვალს გაიმართა თსუ-გორდელას შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერა, ხოლო ფილმის ჩვენების შემდეგ, თსუ გორდელას სოლო კონცერტი, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ძველი სიმღერები, ასევე რამდენიმე ახალი კომპოზიცია.

ქორეოგრაფიული ანსამბლი უნივერსიტეტი საფრანგეთში - 15-დან 28 თებერვლის ჩათვლით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' იმყოფებოდა საფრანგეთში, ,,93-ე სამხიარულო კარნავალზე''. კარნავალში მონაწილეობას იღებდა 600 მონაწილე, 6 სხვადასხვა ქვეყნიდან.

კონცერტი მანდილოსნებისთვის - 5 მარტს, თსუ-ს I კორპუსში ჩატარდა ქალბატონებისათვის მიძღვნილი საზეიმო საღამო. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თსუ გორდელამ, თამრიკო ჭოხონელიძემ, ეკა კვალიაშვილი, მაია ჯაბუამ, სოფო ბედიამ, ნუკრი კაპანაძემ და მერაბ სეფაშვილმა.

თსუ-არტის კონცერტი - 7 მარტს, გაზაფხულის სემესტრის დაწყებასთან დაკავშირებით სტუდენტებისათვის გაიმართა თსუ-ს მუსიკალური ბენდის, თსუ-არტის კონცერტი.

სპექტაკლი გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად - 2013 წლის 18 მარტს თსუ-ს სტუდენტურმა თეატრმა ,,სხვენი'' თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გამართა სპექტაკლი, სახელწოდებით ,,ვთამაშობთ სამანიშვილს''. სპექტაკლი დადგა თსუ-ს სტუდენტური თეატრის რეჟისორმა, ბ-ნ გ. გომურაშვილმა, დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალის'' მიხედვით. სპექტაკლი გაიმართა მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად. შეგროვდა შემოწირულობა, რომელიც გადაეცა გიორგის ოჯახს.

კონცერტი გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად - 25 მარტს, თსუ-ს პირველ კორპუსში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: თსუ გორდელა, ეკა ნიჟარაძე, ნინო მუმლაძე, კახა მიქიაშვილი, ონისე ონიანი, მაკა შალიკაშვილი, ზუზუ ბეჟაშვილი, ანა რეხვიაშვილი, ანა სანაია, დიმა ტატიშვილი, ეკო ფანგანი და სხვები.

სპექტაკლი გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად - 26 მარტს თსუ სტუდენტურმა თეატრმა ,,სხვენი'' წარმოადგინა პრემიერა სპექტაკლისა ,,რეკვიემი მონაზონისთვის". სპექტაკლი დაიდგა უილიამ ფოლკნერის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. პიესის ავტორი - ალბერ კამიუ. დამდგმელი რეჟისორი - გიგა გოგიჩაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - გიორგი გომურაშვილი, მხატვარი - ზურა ბალანჩივაძე. სპექტაკლი გაიმართა მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად.

კონცერტი გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად - 2013 წლის 3 აპრილს ჩატარდა კიდევ ერთი საქველმოქმედო კონცერტი მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლები ,,უნივერსიტეტი" და ,,უნივერსიტეტი 2", ,,თსუ გორდელა", ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,უნივერსიტეტი", გოგონათა ვოკალური ანსამბლი ,,უნივერსიტეტი".

2013 წლის 8 აპრილს ჩატარდა კონკურსი "პიანისტი 2013" თსუ-ს სტუდენტებს შორის.

სპექტაკლი „დოდოს მოლოდინში“ - 30 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დათო ტურაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის „დოდოს მოლოდინში“ პრემიერა გაიმართა. უნივერსიტეტისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი პროექტი საიუბილეო წლის ფარგლებში განხორციელდა. სპექტაკლი უნივერსიტეტის თეატრალურმა დასმა რეჟისორ გიორგი გომურაშვილის ხელმძღვანელობით დადგა.

სტუდენტური დღეები - 23 აპრილს გაიმართა თსუ-ს შიდა სტუდენტური დღეები, რომელზეც გამოვლინდნენ გამარჯვებულები ნომინაციებში: 1. ჟიურის სიმპათია - Noras Group; 2. დარბაზის სიმპათია - ნინუცა ბაგრატიშვილი; 3. საუკეთესო სოლო შემსრულებელი - ქეთი თურქაძე; 4. საუკეთესო ცეკვის ნომერი - TSU CREW; 5. საუკეთესო ბენდი - Strolling Tones.

თსუ-ს იუმორისტული ფესტივალი - 13 ივნისს თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა შეჯიბრი თსუ-ს იუმორისტულ გუნდებს შორის, რომელშიც გაიმარჯვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გუნდმა.

„სხვენი - მხიარული ნოველები“ - 3 ოქტომბერს სტუდენტურმა თეატრმა ,,სხვენი'' გამართა წარმოდგენა ,,მხიარული ნოველები''.

ანსამბლი „უნივერსიტეტი - მფრინავი ქართველები“ - 25 ოქტომბერს, თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,უნივერსიტეტი'' წარმოადგინა განახლებული პროგრამა - ,,მფრინავი ქართველები''.

„თსუ-არტის“ კონცერტი - 21 ნოემბერს თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა თსუ-ს მუსიკალური ბენდის, „თსუ-არტის'' კონცერტი. წარმოდგენილი იყო ახალი კომპოზიციები მარიკო ებრალიძესთან და ლევან მასპინძელაშვილთან ერთად.

ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“ - 18 დეკემბერს თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ ,,უნივერსიტეტის'' სოლო კონცერტი.

მან-სან-კან-ის ნახევარფინალი - თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში 2 და 4 დეკემბერს ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ნახევარფინალური თამაშები ფაკულტეტებს შორის, ხოლო ფინალური შეხვედრა ჩატარდა 24 დეკემბერს. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი - „ჰოპლა“.

ქართული სული - 26 დეკემბერს თსუ-ს შემოქმედებითმა ჯგუფებმა წარმოგვიდგინეს ქართული ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის კონცერტი, ,,ქართული სული''. კონცერტში მონაწილეობდნენ: თსუ გორდელა, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი''.

23 თებერვალს აშშ-ში ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენტაუნში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ვეტერანებში მოასპარეზე ზურაბ ჭავჭანიძემ გაიმარჯვა 125 კგ-მდე წონით კატეგორიაში წოლჭიმსა და გამეორებებით წოლჭიმში, ორივე სახეობაში დაამყარა მსოფლიო რეკორდები.

18 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ძალისმიერ სამჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში თსუ გუნდმა მოიპოვა საერთო გუნდური I ადგილი, ასვე გუნდურად გაიმარჯვა ბიცეპსებით წონის აწევაში.

25 მაისს თბილისის სპორტკომპლექს "შატილში" გამართულ საქართველოს თასის გათამაშებაზე ძალისმიერ სამჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში, რომელიც ეძღვნებოდა ზურაბ ჭავჭანიძის 60 წლის იუბილეს, თსუ გუნდმა მოიპოვა საერთო გუნდური I ადგილი.

2 ივნისს თბილისში დიდი დიღმის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ ორჭიდსა და მის ცალკეულ მოძრაობებში, სადაც გუნდური გამარჯვება მოიპოვა თსუ გუნდმა.

28 ივლისს საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის სპორტულ დარბაზში ჩატარდა I ქართველი მსოფლიო ჩემპიონის შოთა ბეჟაშვილის სახელობის ტურნირი წოლჭიმში, სადაც თსუ გუნდიდან მონაწილეობდნენ მხოლოდ ზურაბ ჭავჭანიძე, ზაურ ჯავახიშვილი, ვალიტა მელიქიძე, რომლებმაც საქართველოს რეკორდი დაამყარეს შესაბამის წონით კატეგორიებში და დაიკავეს I ადგილები.

24 ნოემბერს საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი წოლჭიმში, სადაც თსუ გუნდიდან მონაწილეობდა მხოლოდ ზურაბ ჭავჭანიძე, რომელმაც საქართველოს რეკორდი დაამყარა წოლჭიმში და დაიკავა I ადგილი.

11-16 დეკემბერს ფინეთის ქალაქ ტამპერეში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდსა და ორჭიდში, აგრეთვე წოლჭიმსა და ამოწევაში, სადაც თსუ-ის გუნდი საქართველოს სახელით მონაწილეობდა. გუნდის წევრებმა მოიპოვეს 11 ოქროს, 2 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი, დაამყარეს 24 მსოფლიო რეკორდი.

სულ წლის განმავლობაში თსუ გუნდმა მოიპოვა 100-მდე მედალი, მათ შორის 65 ოქროსი.

29 სექტემბერს პარკ ,,მზიურში'' გაიმართა სტუდენტური ველო-ტურნირი კროსში, რომელშიც სხვადასხვა უნივერსიტეტიდან 16 სტუდენტი მონაწილეობდა.

თსუ-ის სტუდენტმა ლადო ტეფნაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

10 მაისიდან 10 ივნისამდე საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ჩაატარა ზაფხულის უნივერსიადა 20 სახეობაში.

საერთო ჩათვლაში თსუ-ის სტუდენტებმა 10 ოქრო, 9 ვერცხლით, 7 ბრინჯაო მოიპოვეს და მეორე ადგილი დაიკავეს.

22 აპრილს, სპორტ-კომპლექს არენა II-ის სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს საუნივესიტეტო ფუტსალის ლიგის ფინალური მატჩი თსუ-სეუ, რომელიც თსუ-ს გამარჯვებით დამთავრდა.

6 დეკემბრიდან 24 დეკემბირის ჩათვლით სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა სტუდენტური ჩემპიონატი ფრენბურთში სადაც 8 უნივერსიტეტი იღებდა მონაწილეობას. თსუ-ის ქალ ფრენბურთელთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

9 მარტს, გუდაურში გაიმართა უნივერსიადის მეორე ეტაპი ზამთრის სპორტულ სახეობაში ,,ski cross", რომელშიც თსუ-ს 3 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას: გივი სრესელი, ანანო გეგეშიძე და თეონა მელიქიშვილი. გივი სრესელი და ანანო გეგეშიძე გავიდნენ ნახევარფინალში, ხოლო თეონა მელიქიშვილი გახდა გამარჯვებული გოგონათა შორის.

2012-2013 წლის ფუტსალის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თსუ-ის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

2012-2013 წლის კალათბურთის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში (სუპერლიგა) თსუ-ის გუნდმა მერვე ადგილი დაიკავა.

2012-2013 წლის ქალ-ფრენბურთელთა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თსუ-ის გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

2012-2013 წლის ხელბურთის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თსუ-ის გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

მშვილდოსნობა:

ლევან ჩიტიშვილი - საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, 3-5 თებერვალი, III ადგილი**;** აჭარის ღია ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, 16-17 მარტი, III ადგილი; საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, 1-4 ივნისი, II ადგილი; ბათუმი უნივერსიადა, 2013 მაისი, III ადგილი; თბილისის ჩემპიონატი. ივნისი - I ადგილი; თბილისის ჩემპიონატი. ივლისი - I ადგილი; თბილისის ზამთრის ჩემპიონატი, 28-29 დეკემბერი - II ადგილი.

გიორგი პოპიაშვილი - საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, 3-5 თებერვალი, I ადგილი; საქართველოს ჩემპიონატი, 1-4 ივნისი, I ადგილი; საქართველოს უნივერსიადა, 2013 მაისი, I ადგილი; თბილისის ზამთრის ჩემპიონატი, III ადგილი, 28-29 დეკემბერი.

გვანცა გვასალია - თბილისის ზამთრის ჩემპიონატი, 28-29 დეკემბერი, I ადგილი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

2013 წლის ანგარიში

(მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს)

შესავალი

აკადემიური საბჭოს ერთწლიანი მუშაობის და მიღებული დადგენილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2013 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების, სასწავლო პროცესის მართვის სრულყოფის გაუმჯობესებისთვის და ზოგადად, უნივერსიტეტის რეფორმირებისთვის. უნივერსიტეტის მმართველობითი ორგანოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო უნივერსიტეტის ახალი რექტორის არჩევა და სასწავლო თუ სამეცნიერო დარგის რეფორმების განხორციელება.

2013 წელს უნივერსიტეტმა ისევ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და იგი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ივლისის №187 დადგენილების საფუძველზე გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. 2013 წლის 11 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება“.

მიღებული დადგენილებების შედეგად დაიხვეწა აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი და პირობები, აკადემიური და თანამდებობის პირთა შესარჩევად ჩატარდა ღია კონკურსები. პროცედურების ადმინისტრირების დახვეწის შედეგად, უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი კონკურსის საფუძველზე შეარჩია საბჭოს მიერ დამტკიცებულმა კომისიებმა, შედეგები კი დამტკიცდა აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებებით. შეიქმნა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, რაც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში კვლევის გააქტიურებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული უნივერსიტეტის მენეჯმენტის გაუმჯობესების კუთხით. აკადემიურმა საბჭომ აირჩია ახალი რექტორი, რაც ბუნებრივია უნივერსიტეტისათვის ახალი გამოწვევებისა და ახალი რეფორმების საფუძველი გახდა.

დაიხვეწა სასწავლო პროცესის რეგულირება. აკადემიურმა საბჭომ დაადგინა სასწავლო პროცესის ვადები, გადაიდგა სხვა ნაბიჯები სწავლების პროცესის დახვეწისაკენ.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.
2013 წლის მანძილზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო 16 დადგენილება რომელიც ეხებოდა სასწავლო პროგრამებს სწავლების სხვადსხვა საფეხურზე, ასევე ცვლილებები იქნა შეტანილი დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების შესახებ დადგენილებასა და სხვა მნიშვნელოვან დადგენილებებში.

დაიხვეწა სამართლებრივი ბაზა. აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება, სასწავლო პროცესის რეგულირების კუთხით აკადემიურმა საბჭომ რამდენიმე ცვლილება შეიტანა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მიღებულ იქნა ახალი წესი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევის შესახებ, დამტკიცდა მისაღები გამოცდებისთვის მისანიჭებელი კოეფიციენტი.

საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ აკადემიურმა საბჭომ მიიღო 4 დადგენილება, ემერიტუსის წოდება მიანიჭა ერთ მეცნიერს, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი 11 პროფესორს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანების მე–9 მუხლის მე–14 პუნქტის თანახმად, „აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე“.

სულ, 2013 წლის განმავლობაში აკადემიურმა საბჭომ მიიღო 139 დადგენილება, 14 წარდგინება და სამი მიმართვა.

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 21 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდგომში – წესდება) მე-8 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ დაადგინა აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები. 2013 წლის 4 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს მიერ №112/2013 დადგენილებით „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და

პირობების დადგენის შესახებ“ დამტკიცებულ იქნა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ახალი ოდენობბები და პირობები.

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებასა და კონკურსის ჩატარების წესს არეგულირებს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“, რომელშიც 2013 წლის 18 ნოემბრის №126/2013 „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილებით განხორციელდა ცვლილება.

თანამდებობის პირთა არჩევა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები

აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის თანამდებობის პირთა არჩევასთან დაკავშირებითაც. კერძოდ,

– კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და 41–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე თსუ–ის <u>რექტორის</u> (ალექსანდრე კვიტაშვილის) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (12 ივნისი 2013, დადგენილება №70/2013);

– კანონის 21–ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თსუ–ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის (ალექსანდრე კვიტაშვილის) დანიშვნის შესახებ (12 ივნისი 2013, დადგენილება №71/2013).

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილებები:

- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ (12 ივნისი 2013, დადგენილება №72/2013);
- აირჩია უნივერსიტეტის რექტორი (ვლადიმერ პაპავა) (16 აგვისტო 2013, დადგენილება №99/2013).

კანონის 21-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის „წ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო 3 დადგენილება <u>დეკანების</u>

<u>თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების</u> შესახებ:

ა) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №135/2013, 23.12.2013);

ბ) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №120/2013, 28.10.2013);

გ) „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ (დადგენილება №67/2013, 3.06.2013)

პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო 21 დადგენილება სხვადასხვა ფაკულტეტებზე <u>პროფესორთა, ასოცირებულ პროფესორთა და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ:</u>

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის საფუძველზე კანდიდატთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 სექტემბრის №83/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (21 იანვარი 2013, დადგენილება №1/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №71/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (29 იანვარი 2013, დადგენილება № 4/2013);

- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 სექტემბრის №80/2012 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (18 თებერვალი 2013, დადგენილება №24/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (25 თებერვალი 2013, დადგენილება №31/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №70/2012 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (25 თებერვალი, 2013, დადგენილება №32/2013);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის საფუძველზე კანდიდატთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 სექტემბრის №83/2011 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (25 თებერვალი, 2013, დადგენილება №35/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (4 მარტი 2013, დადგენილება №38/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №68/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (4 მარტი 2013, დადგენილება №39/2013);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (11 მარტი 2013, დადგენილება №44/2013);

- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (25 მარტი 2013, დადგენილება №53/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №71/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (12 ივნისი 2013, დადგენილება №73/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (24 ივნისი 2013, დადგენილება №76/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (15 ივლისი 2013, დადგენილება №85/2013);
- “ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 სექტემბრის №80/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (9 აგვისტო, 2013, დადგენილება №92/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №68/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ(9 აგვისტო, 2013, დადგენილება №95/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №70/2012 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (9 სექტემბერი, 2013, დადგენილება №101/2013);

- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №68/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (9 სექტემბერი, 2013, დადგენილება №102/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ (23 სექტემბერი, 2013, დადგენილება №106/2013);
- “ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 სექტემბრის №80/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (21 ოქტომბერი, 2013, დადგენილება №117/2013);
- “ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 სექტემბრის №80/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (9 დეკემბერი, 2013, დადგენილება №134/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის საფუძველზე კანდიდატების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 1 მარტის №14/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (29 აპრილი, 2013, დადგენილება №59/2013).

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების ნაწილი ეხება თსუ–ის ზოგიერთი <u>პროფესორ–მასწავლებლის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებასა და შრომითი ხელშეკრულებების ვადის გაგრძელებას</u>, რასაც საფუძვლად უდევს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის <u>„ს“</u> ქვეპუნქტი და წესდების” მე-8 მუხლი. ამ მხრივ სულ მიღებულ იქნა 4 დადგენილება (№26/2013, №27/2013, №28/2013, №81/2013).

აკადემიური საბჭოს მიერ სამჯერ შევიდა ცვლილება 2012 წლის 28 მაისის №37/2012 „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ დადგენილებაში №2/2013, №74/2013, №94/2013 დადგენილებებით.

კომისიების შემადგენლობის დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილების საფუძველზე მიღებულია 20 დადგენილება, რომლებიც ეხება უნივერსიტეტის ფარგლებში სხვადასხვა სახის <u>კომისიების შემადგენლობის დამტკიცებას.</u> ესენია:

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (29 იანვარი, 2013; დადგენილება №9/2013);

– „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №9/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (4 თებერვალი 2013, დადგენილება №11/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (4 თებერვალი 2013, დადგენილება №12/2013);

– „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 4 თებერვლის №12/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (7 თებერვალი 2013, დადგენილება №18/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (18 თებერვალი 2013, დადგენილება №20/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (18 თებერვალი 2013, დადგენილება №21/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ–პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (18 თებერვალი, 2013, დადგენილება №22/2013);

– „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 თებერვლის №20/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (25 თებერვალი 2013, დადგენილება №34/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (18 მარტი, 2013, დადგენილება №50/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (29 მაისი, 2013, დადგენილება №64/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (10 ივნისი, 2013, დადგენილება №68/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ და ასოცირებულ პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (8 ივლისი 2013, დადგენილება №80/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ–პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (15 ივლისი, 2013, დადგენილება №87/2013);

– „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ–პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 15 ივლისის №87/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (9 აგვისტო, 2010, დადგენილება №88/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (14 აგვისტო, 2013, დადგენილება №98/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (9 სექტემბერი, 2013, დადგენილება №103/2013);

– სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (23 სექტემბერი, 2013, დადგენილება №109/2013);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 სექტემბრის №109/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (4 ოქტომბერი, 2013, დადგენილება №114/2013);

– სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (18 ნოემბერი, 2013, დადგენილება №129/2013);

– სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (23 დეკემბერი, 2013, დადგენილება №138/2013).

წესდების მე–8 მუხლის ,,ძ“ და „წ“ ქვეპუნქტების საფუძველზე აკადემიური საბჭოს ერთი გადაწყვეტილება ეხება უნივერსიტეტის ფარგლებში <u>სხვა სახის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებას.</u> ეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის გაცემის საუნივერსიტეტო საპრემიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ 2013 წლის 9 დეკემბრის №132/2013 დადგენილება.

არჩევის წესები

კანონის 21-ე მუხლისა და წესდების მე–8 მუხლის „წ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ დადგენილება (18 ნოემბერი, 2013, დადგენილება №127/2013);

საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების საფუძველზე 2013 წელს აკადემიურმა საბჭომ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ მიიღო 15 დადგენილება.

თსუ–ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა:

- დოქტორ ჰაინერ ალვარტს (11 მარტი, 2013, დადგენილება №42/2013);
- პროფესორ დონალდ რეიფილდს (15 აპრილი, 2013, დადგენილება №56/2013);
- ლუიჯი მაგაროტოს (8 ივლისი, 2013, დადგენილება №182/2013);
- ლუდმილა გრიციკის (9 დეკემბერი, 2013, დადგენილება №130/2013);

თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა:

- გურამ ნაჭყებიას (7 თებერვალი, 2013, დადგენილება №14/2013);
- ალექსანდრე რონდელს (7 თებერვალი, 2013, დადგენილება №15/2013);
- დავით გორდეზიანს (7 თებერვალი, 2013, დადგენილება №16/2013);
- თეიმურაზ ჯორბენაძეს (7 თებერვალი, 2013, დადგენილება №17/2013);
- რევაზ გაჩეჩილაძეს (18 თებერვალი, 2013, დადგენილება №25/2013);
- ელენე ხარაბაძეს (15 აპრილი, 2013, დადგენილება №57/2013);
- ალექსანდრე მუშკუდიანს (15 აპრილი, 2013, დადგენილება №58/2013);
- თედო უთურგაიძეს (8 ივლისი, 2013, დადგენილება №83/2013);
- ალექსანდრე კვიტაშვილს (9 აგვისტო, 2013, დადგენილება №97/2013);
- ეთერ ხარაიშვილს (28 ოქტომბერი, 2013, №119/2013);
- ესტატე ხმალაძეს (11 ნოემბერი, 103 დადგენილება №125/2013);

ემერიტუსის წოდების მინიჭება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნტისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 მარტის №52/2013 დადგენილებით ემერიტუსის წოდება მიანიჭა რომან შენგელიას.

კოეფიციენტის დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ი[1]“ ქვეპუნტებისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ (29 იანვარი, 2013, დადგენილება №8/2013), (აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება შევიდა 2013 წლის 9 აგვისტოს №90/2013 დადგენილებებით);
- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ (18 თებერვალი, 2013, დადგენილება №29/2013), (აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება შევიდა 2013 წლის 18 მარტის №51/2013, 2013 წლის 9 აგვისტოს №89/2013, 2013 წლის 23 სექტემბრის №107/2013 დადგენილებებით);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2015 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა–კითხვარის დამტკიცების შესახებ (9 დეკემბერი, 2013, დადგენილება №132/2013).

სასწავლო პროცესის რეგულირება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუქტის „ს“ და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2-ჯერ შეიტანა ცვლილება 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში 2013 წლის 9 აგვისტოს №93/2013 და 2013 წლის 4 ოქტომბრის №111/2013 დადგენილებებით.

საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო ასევე 14 დადგენილება სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ეხება უნივერსიტეტის საქმიანობის მიმართულებებსა და სასწავლო პროცესის რეგულირებას:

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის №215 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (29 იანვარი, 2013, დადგენილება №6/2013);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (25 თებერვალი, 2013, დადგენილება №37/2013);

– „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამისა და კიოლნის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებისათვის სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 5 თებერვლის №10/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (11 მარტი, 2013, დადგენილება №45/2013);

– „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის – „საჯარო მმართველობა“ – სასწავლო პროცესის ვადებისა და კრედიტების წლიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის №105/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (11 მარტი, 2013, დადგენილება №46/2013);

–„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის სემესტრული გადასახადის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 25 იანვრის №6/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (11 მარტი, 2013, დადგენილება №47/2013);

–,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური

საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ (25 მარტი, 2013, დადგენილება №54/2013);

–„დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის №249 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (25 მარტი, 2013, დადგენილება №55/2013);

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული უცხოური ენების სწავლების დარეგულირების შესახებ (1 ივლისი, 2013, დადგენილება №78/2013);

– ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული მზადების) სპეციალობის მაძიებელთა/უმცროს ექიმთა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ (15 ივლისი, 2013, დადგენილება №84/2013);

–ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ (9 სექტემბერი, 2013, დადგენილება №104/2013);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (21 ოქტომბერი, 2013, დადგენილება №115/2013);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ (11 ნოემბერი, 2013, დადგენილება №122/2013);

–„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 ივლისის №114 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (9 დეკემბერი, 2013, დადგენილება №133/2013);

– სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ (27 დეკემბერი, 2013, დადგენილება №139/2013);

სასწავლო პროგრამების დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 16-ჯერ შეიტანა ცვლილება 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებში №3/2013, №7/2013, №13/2013, №19/2013, №30/2013, №41/2013, №62/2013, №65/2013, №75/2013, №79/2013, №86/2013, №91/2013, №100/2013, №110/2013, №113/2013, №121/2013 დადგენილებებით. ასევე მიღებულია დადგენილება „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის“ პროგრამების დამტკიცების შესახებ“ (29 აპრილი, 2013, №61/2013) და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის ამოქმედების შესახებ“ (23 სექტემბერი, 2013, №108/2013).

სტრუქტურული ერთეულების შექმნა

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ და „თ“ ქვეპუნქტებით და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ (29 იანვარი, 2013, №5/2013);
- ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ (25 თებერვალი, 2013, №33/2013, ცვლილება შეტანილია №66/2013 დადგენილებით);
- ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ (18 მარტი, 2013, №49/2013);
- ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ (29 აპრილი, 2013, №60/2013);
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ (11 ნოემბერი, 2013, №124/2013).

სამართლებრივი აქტები

კანონის 21–ე მუხლისა და წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო და ცვლილებები შეიტანა შემდეგ დადგენილებებში, რომლებიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის ნორმატიული ბაზის დახვეწას და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას:

- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (4 თებერვალი, 2013, №10/2013);
- „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (18 თებერვალი, 2013, №23/2013);
- "ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (25 თებერვალი, 2013, №36/2013);
- ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ (4 მარტი, 2013, №40/2013);
- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ (11 მარტი, 2013, №43/2013);
- „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების, ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №36/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (18 მარტი, 2013, №48/2013);
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (21 ოქტომბერი, 2013, №116/2013);

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ (21 ოქტომბერი, 2013, დადგენილება №118/3013);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის გაცემის შესახებ (11 ნოემბერი, 2013, №123/2013), (ცვლილებები შესულია №136/2013 და №137/2013 დადგენილებებით);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ (18 ნოემბერი, 2013, დადგენილება №128/2013);

სხვა სახის დადგენილებები

აკადემიურმა საბჭომ კანონის 21 მუხლისა და წესდების მე-8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასევე მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეკომენდაციის შესახებ (29 მაისი, 2013, დადგენილება №63/2013);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 მაისის (საქმე №3/4648-12) გადაწყვეტილების მოთხოვნების შესრულებისა და ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ–პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თსუ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 ივლისის N60/2012 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (10 ივნისი, 2013, დადგენილება №69/2013);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 მაისის (საქმე №3/4648-12) გადაწყვეტილების აღსრულებისა და ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2012 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგების შესახებ (24 ივნისი, 2013, დადგენილება №77/2013);

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების (განჩინება) მოთხოვნებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე N3ბ/03-13) აღსრულების მიზნით ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ–პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს N76/2012 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (9 აგვისტო, 2013, დადგენილება №96/2013);
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების (განჩინება) მოთხოვნებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე N3ბ/03-13) აღსრულების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 9 აგვისტოს №96/2013 დადგენილებით განსაზღვრული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის წარდგინების დამტკიცების შესახებ (9 სექტემბერი, 2013, დადგენილება №105/2013);

წარდგინებები და მიმართვები

კანონისა და წესდების შესაბამისად, აკადემიური საბჭო ვალდებულია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონის 21–ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს. აქედან გამომდინარე, აკადემიურმა საბჭომ სულ მიიღო 14 წარდგინება, ესენია: 1.02.2013, №36/03-01-14, 7.02.2013, №37/03-01-14, 14.03.2014, №38/03-01-14, 14.03.2013, №39/03-01-14, 14.03.2013, №40/03-01-14, 14.03.2013, №41/03-01-14, 28.05.2013, №43/03-01-14, 3.06.2013, №44/03-01-14, 3.06.2013, №45/03-01-14, 4.10.2013, №47/03-01-14, 15.11.2013, №49/03-01-14, 15.11.2013, №50/03-01-14, 18.11.2013, №51/03-01-2014, 18.11.2013, №52/03-01-14 წარდგინებები.

აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის განმავლობაში ასევე მიიღო სამი მიმართვა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ესენია: 3.05.2013, №42/03-01-14, 5.08.2013, №46/03-03-05 და 4.10.2013, №48/03-01-13 მიმართვები.

აკადემიურმა საბჭოს წევრებმა 2013 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს 7 სხდომაში, სადაც განხილულ ქნა მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს გაერთიანებული სხდომები გაიმართა 2013 წლის 7 თებერვალს, 18 მარტს, 3 ივნისს, 9 სექტემბერს, 4 ოქტომბერს, 18 ნოემბერსა და 27 დეკემბერს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ენების შემსწავლელი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ცენტრის წესდების მოქმედების სფერო

1. სსიპ – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) ენების შემსწავლელი ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანომდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

თავი II

ცენტრის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

ცენტრის მიზანი და ამოცანებია:

ა) ფაკულტეტების პროგრამების ფარგლებში უცხო ენების სწავლება ფილოლოგიური და არაფილოლოგიური მიმართულებით;

ბ) სასწავლო და მეთოდურ–კვლევითი საქმიანობის განხორციელება;

გ) სტუდენტის უზრუნველყოფა უცხო ენების სწავლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნით;

დ) სტუდენტების მომზადება საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებისათვის;

ე) სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების მუდმივი განახლება;

ვ) მოდერნიზებული და უახლესი სახელმძღვანელოების დანერგვა;

ზ) ცენტრის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

თ) უცხო ენების სწავლების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე დაინტერესებულ ორგანიზაციებში მასწავლებლების მივლინებით.

თავი III

ცენტრის სტრუქტურა

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი.
2. ცენტრის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათვისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.
3. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს მოადგილე.
4. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისათვის გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია ცენტრის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მასწავლებელი.
5. ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილესა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.
6. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე ცენტრის ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე.

მუხლი 4. ცენტრის მართვის პრინციპები

ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) ცენტრის მართვის ორგანოს ანგარიშების საჯაროობას;

ბ) მასწავლებელთა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას;

გ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

თავი IV

ცენტრის მართვა

მუხლი 5. ცენტრის ხელმძღვანელი

1. ენების ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი.
2. ცენტრის ხელმძღვანელი:
ა) უზრუნველყოფს ცენტრში სასწავლო–მეთოდური საქმიანობის ეფექტურ მიმდინარეობას;
ბ) შეიმუშავებს ცენტრის სტრუქტურის, დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტს და განსახილველად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების შესრულებაზე;
დ) პასუხისმგებელია ცენტრისთვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;
ე) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ცენტრის პერსონალს;
ვ) რექტორს წარუდგენს მასწავლებელთა თანამდებობების ნუსხის პროექტს;
ზ) უზრუნველყოფს საშტატო ერთეულზე მყოფი მასწავლებლების შესაბამის დატვირთვას, როგორც ფილოლოგიური ასევე არასპეციალური მიმართულებებით. თ) საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია დასვას მასწავლებლებს საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვევის საკითხი;
ი) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ორგანიზებას უკეთებს ტრენინგებსა და სემინარებს;
კ) ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;
ლ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
მ) წარადგენს ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით.

მუხლი 6. ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე

ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს ცენტრის ფუნქციების კანონმდებლობასთან შესაბამისობით განხორციელებას;
ბ) ხელს უწყობს ცენტრის ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
გ) მონაწილეობს ცენტრში შემოსული მასალების განაწილებაში;
დ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ცენტრის ხელმძღვანელის დავალებებს;

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, ცენტრის ხელმძღვანელის დავალებებით ახორციელებს სხვა უფლებამოვალეობებს.

თავი V
ცენტრის პერსონალი

მუხლი 7. ცენტრის პერსონალის შემადგენლობა

1. ცენტრის პერსონალი შედგება მთავარი სპეციალისტების, უფროსი სპეციალისტების და მასწავლებლებისაგან.
2. მთავარი და უფროსი სპეცისლიტების უფლებამოვალეობები განისაზღვრება სამუშაოს აღწერილობებითა ან/და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. ცენტრის მასწავლებელი:
ა) ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სავალდებულო დატვირთვას. ბ) მასწავლებლის მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

თავი IV

დასკვნითი დებულება

მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება № 18/2014
19 თებერვალი, 2014

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ და „რ“ ქვეპუნქტებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 17.02.2014, №04/01/02-01-75 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:
1.შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს ოდენობები განისაზღვროს წინამდებარე დადგენილების დანართი № 1,დანართი № 2, დანართი № 3, დანართი № 4, დანართი № 5, დანართი № 6 -ის შესაბამისად;“.

2. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ №1, დანართ №2, დანართ №3, დანართ №4, დანართ №5 და დანართ №6-ში და ჩამოყალიბდნენ შემდეგი რედაქციით (დანართი №1), (დანართი №2), (დანართი №3), (დანართი №4), (დანართი №5), (დანართი №6).
3. ამოღებულ იქნას „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების მე-2 პუნქტი;
4. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების მე-7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. დასაქმებულის (აკადემიური პერსონალი) ან დამსაქმებლის (ფაკულტეტი) მიზეზით სავალდებულო მინიმალური პედაგოგიური დატვირთვის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელფასის დაქვითვა განხორციელდეს აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს 50%-დან, შეუსრულებელი

პედაგოგიური დატვირთვის პროპორციულად (ერთი საათის საშუალო ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე);“.

5. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების მე-10 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. თსუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში არ მიეცემათ „ა“ კატეგორიის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ა“ და „ბ“ კატეგორიის, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ა“ და „ბ“ კატეგორიის შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;“.

6. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

7. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.

8. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

9. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგში ამ დადგენილებით განსაზღვრული ცვლილებების ასახვისა და ამ ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცებული საშტატო განრიგის კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, აკადემიკოსი

<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 6-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 8-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 10-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1440 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1170 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 910 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1280 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1030 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 790 ლარი.

დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 20-საათიან (10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 26-საათიან (14 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1950 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1550 ლარი;
გ) ასისტენტ - პროფესორი 1110 ლარი თვეში.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის სავალდებულო კვირაში 12-საათიან (6 საათი სააუდიტორიო, 6 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-

პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 22-საათიან (12 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1580 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1250 ლარი;
გ) ასისტენტ - პროფესორი 930 ლარი თვეში.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი 700 ლარი თვეში.

დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8-საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 22-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა)პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2700 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1660 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2050 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

<u>დანართი №4</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 20-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ- პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1850 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1360 ლარი

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1300 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1050 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 810 ლარი.

დანართი N5

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1500 ლარი.

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1825 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1460 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1100 ლარი.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური

პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას,პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 700 ლარი.

- „ა“, „ბ“ და „გ“ კატეგორიის თანამდებობრივი სარგოები გაიცემა ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტით.

<u>**დანართი N6**</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 8 საათიან სააუდიტორიო და 8 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, ასოცირებული პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 10 საათიან სააუდიტორიო და 10 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ასისტენტ-პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 12 საათიან სააუდიტორიო და 12 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო პროექტებსა და გრანტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი – თვეში 3000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი – თვეში 1660 ლარი;

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ–პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8

საათიან სააუდიტორიო, 8 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1450 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1220 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1135 ლარი.

დადგენილება № 19/2014
20 თებერვალი, 2014

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ და „რ“ ქვეპუნქტებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ე. ქემოკლიძის 20.02.2014, №07/01/02-01-75 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ‘‘ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებას დაემატოს შემდეგი რედაქციის 10^1 პუნქტი:

,,10^1. იმ აკადემიურ პერსონალს, ვისაც თსუ-ში ამავდროულად დაკავებული აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული თანამდებობა, მიეცეს წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართებით განსაზღვრული მინიმალური სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვისგან განსხვავებული - შემცირებული მინიმალური სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის შესრულების უფლება (უნივერსიტეტთან/დამსაქმებელთან შეთანხმებით) - პროფესორს კვირაში 2 საათი, ასოცირებულ პროფესორს კვირაში 3 საათი, ხოლო ასისტენტ პროფესორს კვირაში 4 საათი. შემცირებული მინიმალური სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის განსაზღვრის შემთხვევაში შრომის ანაზღაურების გადაანგარიშება განხორციელდეს უნივერსიტეტში

დადგენილი წესის მიხედვით, აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს 50%-დან და შესაბამისად, ცვლილება აისახოს შრომით ხელშეკრულებაში“.

2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილებით გათვალისწინებული შრომითი პირობები ძალაში შევიდეს 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემეტრიდან.

5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

რექტორი

დადგენილება №29/2014
28 მარტი, 2014

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტის და თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის №10634/02, 27.03.2014 წერილის საფუძველზე,
აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის“ დებულება (დანართი 1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენს საქართველოში ბიოსამედიცინო სფეროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ასევე ამ დარგების სპეციალისტთა დახელოვნების აღიარებულ ლიდერ ორგანიზაციას. ის აკადემიკოს ალ. ნათიშვილის მიერ 1946 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის სახით. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის N58 დადგენილებით ინსტიტუტი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად („სსიპ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი“), რომელიც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 აგვისტოს №220 დადგენილების შესაბამისად რეორგანიზებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო–კვლევით ერთეულად – „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტად“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.

2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი (ინსტიტუტის სიმბოლიკით), საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).

4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვა).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტიანად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას, სამედიცინო–ბიოლოგიური პროფილის კადრების უწყვეტი განათლებისა და პროფესიული

განვითარების პროგრამების განხორციელებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით, მათ შორის:

ა) ჯანდაცვითი სადიაგნოსტიკო–საექსპერტო საქმიანობის განხორციელება;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეცნიერო-კვლევით, ჯანდაცვით, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური საქმიანობის განხორციელება.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყოს:

ა) სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მაღალ პროფესიულ დონეზე განხორციელებას;

ბ) სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო გრანტებში და მათ მონაწილეობას, როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;

3. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.).

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი და მისი მოადგილე/მოადგილეები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტი:

ა.ა) ციტოლოგიის ლაბორატორია;

ა.ბ) პათოლოგიის ლაბორატორია;

ბ) ტრანსლაციური ბიო-მედიცინის დეპარტამენტი;

ბ.ა) მოლეკულური ბიოლოგიის და გენეტიკისა ლაბორატორია;

ბ.ბ) ანდროლოგიის ლაბორატორია;

გ) კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი;

დ) გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი.

2. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის მეცნიერთა (სამეცნიერო პერსონალი) საერთო კრება თავის შემადგენლობიდან.

3. ინტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება 9 წევრისგან.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 4 წლის ვადით და ინსტიტუტის საბჭოს წარდიგენით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. ერთი და იმავე პირის მიერ დირექტორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, განსაზღვროს ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მიღების წესი ან ინსტიტუტის პერსონალის ატესტაციის წესი. ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მიღების ან ინსტიტუტის პერსონალის ატესტაციის წესის გამოყენების ვალდებულება განისაზღვრება ამავე წესის საფუძველზე.

7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშაოს ინსტიტუტის დირქტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი და დასამტკიცებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეების (დირექცია), სამეცნიერო პერსონალისა (თანამდებობის) და სხვა პერსონალისაგან (სპეციალისტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).

2. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი.

3. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამეცნიერო თანამდებობა.

4. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) თანამდებობრივი სარგოს მიღების გარდა, მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე მიიღოს ანაზღაურება ჯანდაცვითი, სადიაგნოსტიკო-საექსპერტო საქმიანობის ან კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. გარდა მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მის მიერ ზედიზედ 3

წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა ან ზედიზედ 3 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ (იმფაქტ ფაქტორის მქონე) ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომის გამოუქვეყნებლობა.

მუხლი 6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებანი

1. **ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:**

ა) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს, და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

ვ) თავისი უფლებამოსილების ვადით თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს;

ზ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

თ) ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა როგორც წესი, იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც, დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საბჭოს, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 8. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელს უწყობს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიურ ბიუჯეტის პროექტს და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) წინამდებარე დებულების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მომზადების საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნირო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არაუგვიანებს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე, დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან გასათავისუფლებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს;

ლ) სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ქმნის საარჩევნო კომისიას და ამტკიცებს მის საქმიანობის წესს;

მ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს დირექტორის მოადგილე.

3. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) მის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა;

დ) გარდაცვალება;

ე) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 9. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი.

2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი პერსპექტიული საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ვ) დირექტორის წინაშე აყენებს სამეცნიერო თანამდებობიდან პირის გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 10. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 11. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) ინსტიტუტის მიერ ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა;

გ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს 2014 წლის 30 აგვისტომდე რექტორის ბრძანებით დამტკიცების მიზნით წარმოადგინოს სამეცნიერო საბჭოს არჩევის დროებითი წესი.

2. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, მისი უფლებამოსილების ცნობიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები - ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან.

დადგენილება №30/2014
28 მარტი, 2014

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" და „ღ" ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" და „ხ" ქვეპუნქტების და 26.03.2014, №10574/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი ".
2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის" დებულება (დანართი 1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

რექტორი, პროფესორი

დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) **საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის** (შემდგომში ინსტიტუტი; ინსტიტუტის სახელწოდება ინგლისურ ენაზე - **Institute for Georgia's Neighborhood Studies, IGNS)** წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებაშია საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებაც.

2. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი თსუ-ის ლოგოთი და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და უფლებამოსილება

1. **ინსტიტუტის მიზნებია:**

ა) საკუთარი გეგმის შესაბამისად, აგრეთვე სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით, ინტერდისციპლინურ დონეზე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების განხორციელება საქართველოს მეზობელი ქვეყნების შიდა და საგარეო პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული, გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და სხვა ხასიათის საკითხების შესასწავლად და იქ მიმდინარე პოლიტიკური და სხვა პროცესების მონიტორინგის წარმოება.

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სამეცნიერო გრანტებში, სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვის ხელშეწყობა.

გ) საქართველოს მეზობელი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის კვლევა. მათი პოლიტიკის გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, კულტურული, სოციალურ-

ფსიქოლოგიური, სამართლებრივი ფონის გაანალიზება. მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკური კოდების შესწავლა, უპირველესად, საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

დ) მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესწავლა, თუკი ისინი ახდენენ გავლენას საქართველოზე.

ე) ინსტიტუტის მეცნიერული პროდუქციაა მონოგრაფიები და შრომათა კრებულები მეზობელი ქვეყნების შესახებ, პუბლიკაციები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და ინსტიტუტის მიერ დაარსებულ სამეცნიერო ჟურნალში, აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები სამთავრობო ორგანოებისათვის, უპირველესად, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს საინსტიტუტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პროგრამის პრიორიტეტები;

ბ) ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები, „მრგვალი მაგიდები“ და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამეცნიერო ცენტრებთან დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები;

დ) ორგანიზება გაუკეთოს სამეცნიერო ჟურნალის გამოცემას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ინსტიტუტის მუშაობას.
2. ინსტიტუტის მმართველი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 7-9 წევრით. საბჭოში შედიან მეცნიერები ინსტიტუტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, მათ შორის უნივერსიტეტის ემერიტუსები, აგრეთვე სპეციალისტები სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან. ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს მოადგილე. ინსტიტუტის დირექტორს და დირექტორის მოადგილეს ოთხი წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4. დირექტორთან იქმნება დირექტორის ოფისი მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი ინსტიტუტის საბჭოსთან შეთანხმებით.

5. დირექტორის ოფისს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი, რომელსაც ინსტიტუტის საბჭოსთან შეთანხმებით დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

6. ინსტიტუტის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს დირექტორის მოადგილე.

7. სხვადასხვა სპეციალობის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ინსტიტუტში ფორმალური გაერთიანებისა და ინსტიტუტის ეგიდით სამეცნიერო პოტენციალის უკეთ გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ინსტიტუტი კომპლექტდება უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის (აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, სოციალური ფსიქოლოგია და სხვ.) თანამშრომლებით, რომლებიც ხდებიან ინსტიტუტის წევრები.

8. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დოქტორანტი ან მაგისტრანტი, აგრეთვე ინსტიტუტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული თვალსაჩინო სპეციალისტი სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან.

9. ინსტიტუტის ყველა წევრს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ინსტიტუტის საბჭო.

10. ინსტიტუტის წევრი ვალდებულია განახორციელოს საბჭოსა და დირექტორის გადაწყვეტილებები. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის საქმიანობაში.

11. ინსტიტუტის სტრუქტურით განსაზღვრულ საშტატო თანამდებობებს წარმოადგენს: ინსტიტუტის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი, მთავარი სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ინგლისური ენის სპეციალისტი.

12. ინსტიტუტი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

ა) რუსეთის კვლევის განყოფილება;

ბ) თურქეთის კვლევის განყოფილება;

გ) ირანის კვლევის განყოფილება;

დ) აზერბაიჯანის კვლევის განყოფილება;

ე) სომხეთის კვლევისგანყოფილება;

ვ) ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

13. ინსტიტუტის განყოფილებების ხელმძღვანელებს დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
14. ინსტიტუტის სტრუქტურით განსაზღვრული დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობის დაკავება შეუძლიათ მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და მათზე გაიცემა, მხოლოდ აკადემიური პერსონალის თანამდებობისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, რაც აისახება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში.

15. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით.

16. ინსტიტუტის სტრუქტურით განსაზღვრულ ანაზღაურებად თანამდებობას წარმოადგენს ინსტიტუტის დირექტორი, აგრეთვე დირექტორის მოადგილე, ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი, მთავარი სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელთაც დირექტო-რის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 4. ინსტიტუტის საბჭოს უფლება-მოვალეობები

1. ინსტიტუტის საბჭო:

ა) განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის ანგარიშს და შემუშავებულ რეკომენდაციებს შემდგომი საქმიანობისათვის.

ბ) გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება მხოლოდ დირექტორის კომპეტენციას.

გ) საბჭოს წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით .

დ) საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ. დამატებითი შეკრების მოწვევა შეიძლება დირექტორის ან საბჭოს წევრების ერთი მესამედის ინიციატივით.

ე) საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის დროს დირექტორის მოადგილე.

ვ) საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება მოწვევის ინიციატორთა მიერ.

ზ) საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომამდე.

თ) საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ი) საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი.

მუხლი 5. დირექტორის უფლება-მოვალეობები

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ადგენს ინსტიტუტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად.

ბ) შეიმუშავებს ინსტიტუტის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

გ) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

დ) წელიწადში ერთხელ წარუდგენს ინსტიტუტის მუშაობის ანგარიშს ინსტიტუტის საბჭოსა და უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 6. ინსტიტუტის ქონება და დაფინასება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.

ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი.

გ) შემოწირულობები.

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ინსტიტუტის დაფინანსებას.

4. ინსტიტუტის დირექტორი და მთავარი სპეციალისტი შესაძლოა დაფინანსდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, დირექტორის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ერთჯერადად, არაუმეტეს სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

დადგენილება №31/2014
28 მარტი 2014

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე–8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ და „ხ“ ქვეპუნქტების, მე-10 მუხლისა და თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის №10508/02, 26.03.2014 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრი“.
2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის“ დებულება (დანართი 1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

რექტორი, პროფესორი

დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი”) რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრი (შემდგომში - ,,ცენტრი’’) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი თსუ-ის ლოგოთი და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
4. ცენტრი უფლებამოსილია განსაზღვროს ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროგრამა და პრიორიტეტები.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები

1. **ცენტრის მიზნებია:**

ა) განახორციელოს საკუთარი გეგმის შესაბამისად, რელიგიური ცხოვრების ინტერდისციპლინარული შესწავლა და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში რელიგიის ფენომენოლოგიის, რელიგიურობის ფსიქოლოგიისა და რელიგიის სოციოლოგიის მიმართულებით, სამეცნიერო გრანტებში, სამეცნიერო კონფერენციებში.

გ) შეიმუშავოს კვლევათა მიმართულებები, მოიზიდოს გრანტები, რითაც დამატებით დაასაქმებს უნივერსიტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებს.

დ) ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები სხვა სამეცნიერო ცენტრებთან. კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ცენტრის მუშაობას.
2. ცენტრის დირექტორს 5 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას კოორდინაციას უწევს დირექტორის თანაშემწე და სხვა თანამშრომლები, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და რომლებსაც დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს დირექტორის თანაშემწე.
5. ცენტრის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დოქტორანტი ან მაგისტრანტი, აგრეთვე ცენტრის საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ამ შესაბამისი დარგის აღიარებული სპეციალისტი.
6. ცენტრის წევრთა შემადგენლობას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
7. ცენტრის სტრუქტურით განსაზღვრულ ანაზღაურებად თანამდებობას წარმოადგენს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობები.

8. ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. დირექტორის უფლება-მოვალეობები

1. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. ცენტრის დირექტორი:

ა) ადგენს ცენტრის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შესათანხმებლად.

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

გ) წელიწადში ერთხელ წარუდგენს ცენტრის მუშაობის ანგარიშს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 5. ცენტრის ქონება და დაფინასება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.

ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი.

გ) შემოწირულობები.

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ცენტრის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ცენტრს.

4. ცენტრის დირექტორისა და დირექტორის თანაშემწის თანამდებობები შესაძლოა დაფინანსდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, დირექტორის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ერთჯერადად, არაუმეტეს სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

დადგენილება №32/2014
28 მარტი 2014

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ და „ხ“ ქვეპუნქტებისა და თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის № 10742/02, 28.03.2014 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“;
2. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. შეიქმნას ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - გენდერის კვლევის ინსტიტუტი‘‘;
3. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის

კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. დამტკიცდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის‘‘ დებულება (დანართი 1).“.

4. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი N1).

5. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

6. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.

7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

რექტორი, პროფესორი

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) გენდერის კვლევის ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს გენდერის მიმართულებით არსებული აკადემიური პროგრამებისა და სამეცნიერეო პროექტების ხელშეწყობასა და ადმინისტრირებას.

2. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი თსუ-ის ლოგოთი, რომლის გამოყენება ხდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და კომპეტენციები

1. ინსტიტუტის მიზნებია:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენდერის მიმართულების

ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება;

ბ) გენდერის პრობლემებზე მომუშავე აკადემიური პერსონალისა და სადოქტორო სტუდენტების თანამშრომლობისათვის ინსტიტუციური პლატფორმის უზრუნველყოფა;

გ) გენდერის კვლევის სასწავლო საგნების ინტეგრაცია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებსა და კვლევებში;

დ) უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული უთანასწორობის პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ;

ე) გენდერის კვლევის სფეროში სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება;

ვ) უნივერსიტეტის გენდერის მიმართულების აკადემიური პროგრამების (უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე) სწავლების ხელშეწყობა/განვითარება;

ზ) გენდერის სფეროში სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა აქტივობების ორგანიზება;

თ) სამეცნიერო გამოცემების (პერიოდული და ერთჯერადი) ინიცირება, ორგანიზება, განხორციელება;

ი) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით საერთაშორისო აკადემიური კავშირების დამყარება და განვითარება ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში;

კ) საზოგადოებაში გენდერული უთანასწორობების მიმართ მგრძნობელობისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარება (საკომუნიკაციო კამპანიების, საჯარო ლექციების, სადისკუსიო კლუბების, გამოფენების, ფილმების ჩვენების ორგანიზება და სხვა);

ლ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება/განვითარება გენდერის კვლევის აკადემიური პროგრამების შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით;

მ) ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, აგრეთვე, კერძო სექტორისთვის სხვადასხვა ტიპის ექსპერტული სერვისის შეთავაზება (სამოქმედო კურსის, პუბლიკაციის, პროექტის, ორგანიზაციული სტრუქტურის და ა.შ. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით გენდერული ექსპერტიზა; გენდერის მნიშვნელოვან პრობლემებზე ორიენტირებული ტრენინგები; ამავე მიზნის მქონე სხვდასხვა ტიპის პუბლიკაციებისა თუ სხვა საკომუნიკაციო პროდუქტების მომზადება; საზოგადოების გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება და სხვა.).

2. ინსტიტუტის კომპეტენციები:

ა) გენდერის მიმართულებით არსებული აკადემიური პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც კოორდინირებას უწევს ინსტიტუტი განისაზღვრება შესაბამისი

ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.

ბ) განავითაროს აკადემიური პროგრამები გენდერის კვლევაში საბაკალვრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე;

გ) განახორციელოს სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევები;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს სხვა უნივერსიტეტებთან ან/და მათ სტრუქტურულ ერთეულებთან, სამეცნიერო ფონდებთან, სხვადასხვა ტიპის აკადემიური თუ გამოყენებითი პროექტების განსახორციელებლად;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც სტუდენტს დაეხმარება სწავლასა და დამოუკიდებელ კვლევაში.

ვ) ხელი შეუწყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას გენდერის კვლევის მიმართულებით და იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე;

ზ) ინსტიტუტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს გენდერის მიმართულებით კვლევის განვითარებას და დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოზიდვას.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ინსტიტუტის მუშაობას.

2. ინსტიტუტის დირექტორს, გენდერის მიმართულების აკადემიური პერსონალიდან, ორი წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობას განაგებს ინსტიტუტის ადმინისტრატორი, რომელსაც ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. ინსტიტუტის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ადმინისტრატორი.

5. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, გენდერის კვლევის აკადემიურ ან კვლევით პროგრამაში დასაქმებული მოწვეული ლექტორი.

6. ინსტიტუტის მმართველი ორგანოა საბჭო, რომელიც აერთიანებს ინსტიტუტის წევრ აკადემიურ პერსონალს, გენდერის მიმართულების პროგრამის სადოქტორო სტუდენტების ერთ წარმომადგენელს და გენდერის პროგრამის მოწვეული ლექტორების ერთ წარმომადგენელს.

7. დაფუძნების ეტაპზე ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ის წარმომადგენლები, ვინც შეადგენს ინსტიტუტის შექმნის საინიციატივო ჯგუფს.

8. ინსტიტუტის სტრუქტურით განსაზღვრულ ანაზღაურებად თანამდებობას წარმოადგენს ინსტიტუტის დირექტორი და ადმინისტრატორი.

მუხლი 4. ინსტიტუტის ქონება და დაფინასება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.

ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი.

გ) შემოწირულობები.

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

1. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ინსტიტუტს.
2. ინსტიტუტის ადმინისტრატორის შრომის ანაზღაურება შესაძლოა დაფინანსდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, დირექტორის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ერთჯერადად, არაუმეტეს ცხრა თვისა.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

დადგენილება №33/2014
28მარტი 2014

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ და „ხ“ ქვეპუნქტებისა და თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის №10742/02, 28.03.2014 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ”;
2. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. შეიქმნას ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი‘‘;

3. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დამტკიცდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის‘‘ დებულება (დანართი 1).

4. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი 1).

5. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

6. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.

7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

რექტორი, პროფესორი

დანართი N1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც კოორდინირებას უწევს ინტერდისციპლინურ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.
2. ცენტრის ოფიციალური სახელწოდებაა ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი”.
3. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის ლოგოთი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
4. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზანია:
ა) ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ერთიანი ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნაზე რეკომენდაციების მომზადება;
ბ) უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამების კოორდინირება;
გ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო და ეროვნულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აკადემიური კავშირების დამყარება და აკადემიური თანამშრომლობის განვითარება;
დ) უნივერსიტეტში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და გაუმჯობესება, მათი განხორციელების კოორდინაცია;
ე) კონფერენციებისა და სამეცნიერო სემინარების/ტრენინგების ორგანიზება;

ვ) აკადემიური პერსონალის მომზადებაში და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება;
ზ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით ტრანსფერული უნარების ელემენტების შესახებ რეგულაციების შემუშავება.
2. ცენტრის კომპეტენციები:
ა) ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც კოორდინირებას უწევს ცენტრი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.
ბ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ცენტრი თავის კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტებთან და/ან მათ სტრუქტურულ ერთეულებთან, სამეცნიერო ფონდებთან, სხვადასხვა ტიპის აკადემიური თუ გამოყენებითი პროექტების განსახორციელებლად.
გ) ცენტრი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობა, მათ შორის საპროექტო საქმიანობა.
დ) აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ცენტრი იწვევს საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც წარმართავს ცენტრის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვებიან დირექტორის მოადგილე, ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი და სხვა თანამშრომლები, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, და რომლებსაც ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს ადმინისტრატორი.
5. ცენტრის პოლიტიკას განსაზღვრავს ცენტრის საბჭო. საბჭო შედგება ცენტრში გაერთიანებული ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების

ხელმძღვანელებისაგან. საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით ერთიანდებიან უნივერსიტეტის ფაკულტეტების წარმომადგენლები შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

6. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობები წარმოადგენს ანაზღაურებად თანამდებობებს.

მუხლი 4. ცენტრის ქონება და დაფინასება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.
2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.
ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი.
გ) შემოწირულობები.
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
1. ცენტრის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ცენტრს.
2. ცენტრის დირექტორის, ადმინისტრატორის და ბიბლიოთეკარის შრომის ანაზღაურება შესაძლოა დაფინანსდეს, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, დირექტორის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ერთჯერადად, არაუმეტეს ცხრა თვისა.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები
ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.